გილოცავთ გიორგობას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

23 — 24 ნოემბერი, 2013 | №278 (6279) | ფასი: 30 თეთრი

21 ნოემბრიდან!

„ახალი თაობა“ + სოჯახო სამზარეულო

ტომი 11

2 ლარი და 60 თეთრი

გვ.4

მიხეილ მაჭავარიანი: „ნაციონალების დაკავებების ახალი ტალღა დაიწყება“

გიორგი კობახიძე: „არჩილ კბილაშვილს მუშაობაში ხელს „ქართული ოცნების“ წევრები უშლიდნენ“

გვ.5

ვახტანგ კაპანაძე გაერთიანებული შტაბის უფროსად დაინიშნა

გვ.5

ირაკლი ძნელაძე ნატოს შტაბბინაში გააგრძელებს მუშაობას

გვ.2

სანდრო ბრეგაძე: „ნაციონალური მოძრაობა ოპოზიცია ვერ იქნება“

გვ.6

რა უნდა ჯონ მაკკეინს

გვ.4

ნოდარ ნათაძე: „სააკაშვილი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით უნდა გასამართლდეს“

რა ვერ გაიყვეს ნარმანიამ და ბობოხიძემ

გვ.5

ISSN 1987-9385

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

სანდრო ბრეგაძე: „ნაციონალური მოძრაობა ოპოზიცია ვერ იქნება“

– ახალი მთავრობის დამტკიცების პროცესი მიმდინარეობს. ნაციონალური მოძრაობა მწვავე დებატებს მართავს მომავალ ხელისუფლებასთან და საკმაოდ თავხედურადაც იქცევა. როგორია თქვენი შეფასებები აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით?

– ჩემთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა. მოულოდნელი არ ყოფილა არც ის სითავხედე, რომლითაც გამოირჩეოდნენ დამნაშავე ორგანიზაციის წევრები, ნაციონალური მოძრაობის წევრები, როდესაც პრემიერმინისტრობის კანდიდატს აბსოლუტურად არაადეკვატურ და, ხშირ შემთხვევაში, ზრდილობისგან შორს მდგომ უზრდელ კითხვებს უსვამდნენ და განცხადებებს ავრცელებდნენ პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

– რისი შედეგია ეს ყველაფერი?

– ეს ყველაფერი არის შედეგი იმ მახინჯი პროცესისა, რომელსაც ხელოვნური კოჰაბიტაცია ჰქვია და რომელიც უცხოეთიდან თავს მოხვეული პოლიტიკის შედეგად განვითარდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი დასაწყისია იმ რევანშისტული და მოღალატეობრივი პოლიტიკისა. ამ პოლიტიკას ახალი ტალღით განავრცობენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, მუდმივად იქნება საქართველოს განვითარებისთვის ხელისშემშლელი პირობა. დღეს ნაციონალური მოძრაობის წევრებმა დაინახეს, რომ მათ თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებებზე, სისხლის სამართლის დანაშაულებზე, რაც ყველაზე მთავარია, პასუხს არავინ სთხოვს, ბევრი მათგანი დააბრუნეს კიდეც უცხოეთიდან, სადაც ისინი თავს აფარებდნენ. ჩამოვიდნენ და ისინი დღეს ცდილობენ, როგორც დემოკრატიულმა ოპოზიციამ, დაიმკვიდრონ სახელი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ჩემდა სამწუხაროდ, ამ ყველაფერს საკმაოდ სერიოზული ხელშეწყობაც აქვს. უფრო სხვანაირად ვერ ავხსნი იმას, თუ როგორ შეიძლება, ირაკლი ღარიბაშვილს ასეთი ტონით ელაპარაკონ ისეთი ტიპის სისხლის სამართლის დამნაშავეები, როგორებიც არიან გივი თარგამაძე, ბარამიძე და სხვა ავაზაკები, რომლებიც თავმოყრილი არიან პარლამენტში და რომლებსაც უმცირესობის მანტია აქვთ მოსხმული. ის ზღვარგადასული უზრდელობა, რომლითაც გამოირჩეოდნენ ე.წ. უმცირესობისა და, მე ვიტყოდი, კრიმინალური ბანდის წევრები, გამომდინარეობს იმ დაუსჯელობის სინდრომიდან, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობს და რომელმაც საშუალება მისცა ნაციონალურ მოძრაობას, იმის მაგვრად, რომ ის გამქრალიყო პოლიტიკური სივრციდან, დაეკანონებინა თავისი თავი, როგორც პოლიტიკური ოპოზიცია. ოპოზიციის საქმე, რა თქმა უნდა, კრიტიკაა, მაგრამ...

– გააჩნია ოპოზიციასაც?

– დიახ, სწორედ ამაზე მაქვს ლაპარაკი, რომ ეს ოპოზიცია არ არის. ის პოლიტიკოსები, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციას უწოდებდნენ, იმ დანაშაულის თანაზიარნი არიან, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაიდინა წლების განმავლობაში. ნაციონალური მოძრაობისთვის ოპოზიციის წოდების მინიჭება ისეთივე დანაშაულია, როგორიც შეიძლება ნაციონალური მოძრაობის წევრობა იყოს. ეს არის დიდი ფულის მქონე, ავანტიურისტებით სავსე, დამნაშავე ელემენტებით გაჯერებული კრიმინალური კლანი, რომლის მთავარი მიზანიც არის რევანში და ეს რევანში ნებისმიერ ფასად, თუნდაც სისხლისღვრის ფასად. ახლა თუკი ვინმე დამიდგება და მეტყვის, რომ, მაგალითად, იგივე გივი თარგამაძეები და დანარჩენები მზად არ არიან სისხლის ღვრისთვის, იმისათვის, რათა ხელისუფლება დაიბრუნონ, ის ან ნაციონალების მომხრე იქნება, ან ბრიყვი ადამიანი. ნაციონალები მზად არიან, იმისათვის, რათა თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობა დაიბრუნონ ხელისუფლებაში, სისხლიც კი დაღვარონ. ასეთი ტიპის რევანშისტული ძალა თუ იარსებებს პოლიტიკურ ასპარეზზე, ეს იქნება მეტად სავალალო შეცდომა, რომელმაც შესაძლოა უახლოეს ხანში საკმაოდ სავალალო შედეგები გამოიღოს.

– საუბარია იმის თაობაზე, რომ ნაციონალები კვლავ მოახერხებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. თქვენ თუ გჯერათ ამის?

– პოლიტიკა და საზოგადოებრივი საქმიანობა ისეთი რამ არის, რომ შესაძლოა ხშირად ისეთი რამ მოხდეს, რომელსაც არ ელი ადამიანი. მე არ ველი ნაციონალების მობრუნებას ხელისუფლებაში, მაგრამ არც გამოვრიცხავ ამას. ეს ყველაფერი იქნება დამოკიდებული ხელისუფლების ნაბიჯებზე. თუ როგორი ნაბიჯებით ივლის ის. ეს ყველაფერი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პოლიტიკურ გუნდს შემოიკრებს გვერდით ირაკლი ღარიბაშვილი. ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კუთხით განვითარდება პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება“. ეს იქნება დამოკიდებული კიდევ ბევრ ფაქტორზე, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ამიტომ, თუ თავად ხელისუფლებამ არ მისცა საშუალება ნაციონალებს, რევანში განახორციელონ, ნაციონალების მხრიდან რევანში გამორიცხულია. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მე, მაგალითად, ვერ წარმოვიდგენდი იმას, რომ 1992 წლის გადატრიალების დროს ადამიანების დამხოცავი და დამხვრეტი სამხედრო საბჭოს წევრები დღეს ისაუბრებდნენ ტელეეკრანებიდან და ჭკუას დაგვარიგებდნენ და დემოკრატიის მანტიაში გამოწყობილები, დღეს მოინდომებდნენ გადაქცევას, ქართველი ერის მამებად. ამიტომ გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება. იმ ადამიანებს, რომლებმაც ზვიადის დროს უიარაღო ხალხი ჩაცხრილეს მეტეხის ხიდთან, იმ ადამიანებს, რომლებიც შემდეგ შევარდნაძის გვერდით იყვნენ, შემდეგში ნაციონალურ მოძრაობაში გადმოვიდნენ და ახლა „ქართული ოცნების“ ირგვლივ აპირებენ თავის დამკვიდრებას, თუკი ასეთი ტიპის ადამიანებს დაეყრდნობა ახალი ხელისუფლება, მაშინ უფრო გაადვილდება ნაციონალების რევანშისტული ამოცანები. თუკი ახალი ხელისუფლება დაეყრდნობა პატიოსან, პატრიოტ, ქვეყნის მოყვარულ, ვაჟკაც და მცოდნე ადამიანებს, მაშინ ნაციონალური მოძრაობის რევანში გამორიცხულია. ამიტომ, მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, სულ უახლოეს ორ-სამ კვირაში გამოჩნდება კონტურები, რა პერსპექტივა აქვს ნაციონალურ მოძრაობას და რა პერსპექტივა აქვს ახალ ხელისუფლებას. მე ვფიქრობ, ახალ ხელისუფლებას პერსპექტივა აქვს, საკმაოდ სერიოზული პოტენციალი აქვს და ამ პოტენციალის არგამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

– ამბობენ, რომ ახალი ხელისუფლება არ აპირებს, აღადგინოს სამართლიანობა, ეს უკვე ღიად გამოჩნდა მათ ქმედებებშიო და თქვენ რა მესიჯები ამოიკითხეთ, თუნდაც იმავე ახალი პრემიერის განცხადებებში?

– ბატონი ღარიბაშვილის გამოსვლა პარლამენტში იყო პრაგმატული, რაციონალური და ლოგიკური. მე მომეწონა მისი გამოსვლა და, სხვათა შორის, ის კითხვა-პასუხიც მომეწონა, როდესაც ბატონმა ღარიბაშვილმა მეტად ღირსეულად პასუხი გასცა იმ ზრდილობისგან შორს მდგარ გამოსვლებზე, რომელთაგანაც გამოირჩეოდნენ ე.წ. უმცირესობის, ხოლო ჩემი თვალთახედვით, დამნაშავე ბანდის წევრები. აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე, რომ სამართლიანობა არ აღდგება, ცოტათი ნაადრევი მეჩვენება. იმიტომ, რომ ღარიბაშვილის გამოსვლაში არსად ყოფილა იმის მინიშნებაც კი, რომ სამართლიანობა არ აღდგება. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ პროკურატურაში ახალი სისხლის გადასხმით, იგივე სამართალდამცავ ორგანოებში ახალი სისხლის გადასხმით ბევრად უფრო მკაფიოდ შეიძლება წარიმართოს სამართლიანობის აღდგენის პროცესი, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მმართველ კოალიციაშიც არიან ძალები, რომლებიც არ ემხრობიან სამართლიანობის აღდგენას და რომლებიც მომხრე არიან, რომ ნაციონალური მოძრაობა შეინარჩუნონ პოლიტიკურ ასპარეზზე. რომელი აზრი გაიმარჯვებს, ეს დამოკიდებულია იმ შემადგენლობაზე, რომელიც იქნება მმართველი პარტიის მმართველ რგოლში. ამიტომ ეს ყველაფერი უახლოეს კვირებში გამოჩნდება და უფრო ნათელი გახდება, თუ რა გზით ვაპირებთ ჩვენ სვლას.

– როგორ ხედავთ ივანიშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?

– ბანალური ვიქნები და ვიტყვი, რომ მან საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ქართულ პოლიტიკაში და მადლობა უნდა ვუთხრათ მას ამისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა გაისტუმრა ხელისუფლებიდან. რაც შეეხება იმას, თუ როგორი იქნება ივანიშვილის როლი, პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რასაც არც ერთი პოლიტოლოგი არ უსვამს ხაზს და, მე ვფიქრობ, ისინი მწარედ ცდებიან. ივანიშვილის როლი მომავალ ქართულ პოლიტიკაში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება მის მიერ დატოვებული მთავრობა. თუკი მთავრობა იქნება ეფექტური და თუკი მთავრობას არ დასჭირდება ივანიშვილის დახმარება, მაშინ ივანიშვილის როლი პოლიტიკაში არანაირად არ იქნება – ის გააგრძელებს იმ თავის საქმიანობას, რომელ საქმიანობაზეც საუბრობდა, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ საზოგადოებრივ მოძრაობას ჩაუდგება სათავეში, ხოლო თუკი გაუჭირდა მთავრობას, ივანიშვილის რჩევები და გარკვეული დახმარება მას აუცილებლად დასჭირდება. მე ვფიქრობ, ივანიშვილი არ დაამადლის ამ რჩევა-დარიგებებს ახალ მთავრობას. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– რაც შეეხება პარლამენტის გარეთ დარჩენილ ოპოზიციას, ამბობენ, რომ ის საკმაოდ სუსტია და სჭირდება გაძლიერება. ექსპერტებისგან ისმის შეფასებები, რომ გარეთა ფლანგი თავისუფალია და ჯერ არ ჩანს ისეთი ძლიერი ძალა, რომელიც ამ ფლანგს დაიკავებს. ამ კუთხით რა ხდება, მით უმეტეს, ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები. რას აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია?

– რა თქმა უნდა, ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი კარგი ხელისუფლებაა, მაგრამ, ამავე დროს, ქვეყნის განვითარებაში უდიდეს როლს იძენს ნორმალური ოპოზიცია. ახლა ნაციონალური მოძრაობა რომ ოპოზიცია არ არის, ჩვენ ამაზე უკვე შევთანხმდით. ამიტომ საჭიროა ისეთი პოლიტიკური ძალების ერთობა, რომლებიც გამსხვილდებიან და სერიოზულ პოლიტიკურ კაპიტალს შეიძენენ გარკვეული დროის შემდგომ. ეს ყველაფერი, არ ვიცი, შედის თუ არა „ქართული ოცნების“ გეგმებში, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ არ შედის ნაციონალური მოძრაობის გეგმებში. ნაციონალური მოძრაობა მუდმივად ეცდება, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ გამოიკვეთოს ვინმე სერიოზული პოლიტიკური ცენტრი, რომელიც შეასრულებს ოპოზიციის ფუნქციას. დღეს, ფაქტობრივად, არასაპარლამენტო ოპოზიცია განადგურებულია. განადგურებულია უსახსრობით, დაბლოკილია ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების მიერ და საკმაოდ ბევრი სხვა პრობლემა აქვს მას შექმნილი, რაც, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს. მე ვფიქრობ, ეს პროცესები უნდა გამოსწორდეს და არასაპარლამენტო ოპოზიციას, პირიქით, ხელისუფლებისგან უნდა ჰქონდეს ხელშეწყობა იმისათვის, რომ ისინი გამსხვილდნენ, ჩამოყალიბდნენ და შეიქმნას რამდენიმე ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება პატიოსანი ადამიანებისგან და პატიოსანი პოლიტიკოსებისგან. ამ შემთხვევაში კი თავისთავად გამოირიცხება ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციონერობა, ხოლო თუკი ასეთი ცენტრი არ შეიქმნა და პოლიტიკურ ავანსცენაზე დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლება და ეს რევანშისტული ბანდა ნაციონალური მოძრაობის სახით, რა თქმა უნდა, ოპოზიციის განვითარება შეფერხებული და შეჩერებული იქნება და ხელს შეუწყობს ამ რევანშისტულ ძალებს, რომ დაბრუნდნენ უკან ხელისუფლებაში. ამიტომ ამაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ ოპოზიციური პოლიტიკური ძალები გაძლიერდეს. სწორედ ეს უნდა გახდეს ხელისუფლების მთავარი სტრატეგიული წერტილი.

– მოვისმინეთ ასეთი შეფასებებიც, რომ დასავლეთს აწყობს, ჩვენს ქვეყანაში იყოს მხოლოდ ეს ორი ძალა – ოცნება და ნაციონალები და მათ ერთმანეთი ანაცვლონ ხელისუფლებაში. ამის თაობაზე გსმენიათ რამე?

– რა თქმა უნდა, ასეთი თეორიები არსებობს, მაგრამ, მე არა მგონია, ეს დასავლეთის სურვილი იყოს. ეს უფრო ნაციონალების მიერ შექმნილი მითია, რომ თითქოს დასავლეთი მათ ერთპიროვნულად უჭერს მხარს. თუნდაც რომელიმე ქვეყნის წარმომადგენლები ასე ფიქრობდნენ, ეს არაფერს ნიშნავს. ამ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, ღირსეული მთავრობა, პრემიერი და პრეზიდენტი და ვიღაც უცხოელ შარლატანს არავინ ეკითხება ამ ქვეყნის ბედ-იღბალს. ჩვენ იმდენი ქართველი გვყავს ჭკუის საკითხავად, რომ ხელმოცარული უცხოელებისგან არ გვჭირდება ჭკუის დარიგება. ამას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, ქართული პოლიტიკა უნდა მართონ საქართველოს მოქალაქეებმა, იმ ხალხმა, რომლებიც აქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რაც შეიძლება მოკლე დროში გავაძლიეროთ ოპოზიციური სპექტრი და ნაციონალებმა ვერ შეძლონ თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელება, რაც სავალალო შედეგების მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვახტანგ კაპანაძე გაერთიანებული შტაბის უფროსად დაინიშნა

ირაკლი ძნელაძე ნატოს შტაბბინაში გააგრძელებს მუშაობას

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გაერთიანებული შტაბების ახალი უფროსი ჰყავს. ამ თანამდებობაზე

გუშინ ოფიციალურად დაინიშნა გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, რომელსაც აქამდე შტაბის უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა. შტაბის უფროსად მისი დანიშვნა შარშანვე სურდათ, მაგრამ მაშინდელმა მთავარსარდალმა თავი გაინერვიულა. გაერთიანებული შტაბების უფროსად მაშინ პოლკოვნიკი ირაკლი დოლიძე დაინიშნა.

მაშინვე ითქვა, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ამ პოსტზე კაპანაძე დაინიშნებოდა. ინფორმაცია ამ ცვლილების განხორციელების შესახებ ამ კვირის დასაწყისში გავრცელდა, გუშინ კი ცვლილება ოფიციალურად განხორციელდა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსად ვახტანგ კაპანაძის დანიშვნასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ გაავრცელა.

– საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის პოსტზე ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე დანიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე შეცვალა. დანიშვნის შესახებ შესაბამისი №22/11/02 განკარგულების ხელმოწერამდე თავის სამუშაო ოთახში საქართველოს პრეზიდენტმა შეიარაღებული ძალების შტაბის ყოფილ და ახალ უფროსებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირინა იმერლიშვილს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. გარდა ამისა, ვახტანგ კაპანაძეს წოდებაც მოემატა და გენერალ-მაიორი გახდა. რაც შეეხება ირაკლი ძნელაძეს, არსებული ინფორმაციით, იგი მუშაობას ნატოს შტაბბინაში გააგრძელებს, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი იქნება, – ნათქვამია განცხადებაში.

კაპანაძე ამ თანამდებობაზე უკვე მეორედ ინიშნება. მისთვის ამ პოსტზე მუშაობა, წესით, რთული აღარ უნდა იყოს. გვპირდება, რომ შეიარაღებულ ძალებში ყველაფერი კარგად იქნება.

– ეს არის ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობა. დიდი მადლობა პოლკოვნიკ ძნელაძეს გაწეული სამსახურისთვის. მინდა, წარმატება ვუსურვო შემდეგ თანამდებობაზე. რაც შემეხება მე, ვეცდები, რომ შეიარაღებული ძალების თითოეული სამხედრო მოსამსახურის ძალისხმევა მივმართო შემუშავებული გეგმების წარმატებით დასრულებისაკენ, – აღნიშნა კაპანაძემ.

ამ საკადრო ცვლილებაზე კომენტარი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამაც გააკეთა. მისი თქმით, ვახტანგ კაპანაძის კანდიდატურას, პრაქტიკულად, ალტერნატივა არ ჰყავდა.

– კაპანაძის კანდიდატურას, პრაქტიკულად, ალტერნატივა არ ჰყავდა, იმიტომ, რომ ის არის ძალიან გამოცდილი სამხედრო. არც ერთი ბრძოლა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მისი თანამონაწილეობის და მისი ქვეყნისადმი ერთგულების გარეშე არ მომხდარა. მას აქვს სოლიდური განათლება მიღებული, ასევე – დიდი ავტორიტეტი, ამიტომ, დარწმუნებული ვართ, რომ იმ ფუნდამენტზე, რომელიც ჩავყარეთ ერთი წლის განმავლობაში, დავაშენებთ ძლიერ, მობილურ არმიას, – განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა გაერთიანებული შტაბების აწ უკვე ყოფილ უფროსზე ირაკლი ძნელაძეზეც ისაუბრა. მის მიმართ მადლიერება გამოხატა და განაცხადა, რომ ძნელაძე აუცილებლად დარჩება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პოლკოვნიკ ირაკლი ძნელაძეს. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო ფუნდამენტი ჩავყარეთ რეფორმირების კუთხით. ერთი წლის განმავლობაში კოორდინირებულად და სინქრონულად ვმუშაობდით. მოხდა შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო, თავდაცვის სამინისტროს მუშაობის გამიჯვნა სწორად. ეს იყო პირველი ამოცანა. მეორე გამოცანა იყო სრული დეპოლიტიზაცია და თქვენ ნახეთ, როგორ ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ირაკლი ძნელაძე აუცილებლად დარჩება შეიარაღებულ ძალებში, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

წინა ხელისუფლების დროს გაერთიანებული შტაბების უფროსები საკმაოდ ხშირად იცვლებოდნენ, იცვლებოდნენ თავდაცვის მინისტრებიც.

შტაბის უფროსი მათ პირველად 2004 წლის აგვისტოში გამოცვალეს. მაშინ ამ თანამდებობას გივი იუკურიძე იკავებდა. გენერალური შტაბის უფროს გივი იუკურიძის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ „არადამაკმაყოფილებელი“ მუშაობა დაასახელა, თუმცა მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გენერალურ შტაბში საკადრო ცვლილებების დაწყება ამ სტრუქტურის ახალ, დასავლურ სტანდარტებზე გადასვლის სურვილით ახსნა.

გივი იუკურიძეს მაშინ რუსული სამხედრო განათლება დაუწუნეს. ამ უკანასკნელს რუსეთის გენშტაბის აკადემია ჰქონდა დამთავრებული, რაც ნაციონალებისთვის თურმე არაკომპეტენტური იყო. ეს ოფიციალური ვერსიაა, თორემ მაშინ თავდაცვის სამინისტროში სხვა რამეს ამბობდნენ.

იმჟამინდელი მინისტრი გია ბარამიძე გივი იუკურიძეს ერთი ფრაზის გამო გადაემტერა. იუკურიძემ ბარამიძეზე თქვა ის, რასაც ფიქრობდა, რაც სასწრაფოდ მოახსენეს მინისტრს. მანაც ყველაფერი გააკეთა იუკურიძის მოსახსნელად.

ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ გივი იუკურიძის გადაყენების მთავარი მიზეზი ცხინვალის რეგიონში მაშინ განვითარებულ მოვლენები და იქ აგვისტოში მიმდინარე შეტაკებების შედეგად გამოწვეული მსხვერპლი გახდა.

გივი იუკურიძე კი აცხადებდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ნაწილებმა სამხრეთ ოსეთში დასახულ ამოცანას თავი კარგად გაართვეს.

– რაც გავაკეთე, ვთვლი, რომ ამ ეტაპისთვის საკმარისია... (სამხრეთ ოსური მხარის) ძალების კონცენტრაცია მიმართული იყო შემოვლითი გზის აღებაზე. 5 აგვისტოს ჩაგვაყენეს იქ. გზა რომ აეღოთ, ქართული სოფლები დარჩებოდა იზოლაციაში, ამიტომ ბრძანება შევასრულეთ და იქ არავინ შევუშვით. მართალია, დღეს ჩვენ იქ აღარ ვართ, ამ გზას სამშვიდობოები აკონტროლებენ. მთავრობის ბრძანება იყო და ჩვენ ის შევასრულეთ. სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრი იყო უფროსი იმ მიმართულებაზე, – ასეთი კომენტარი გააკეთა მოგვიანებით თავად გივი იუკურიძემ რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გივი იუკურიძის შემდეგ გენშტაბის უფროსად ვახტანგ კაპანაძე დაინიშნა. მან თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოახერხა. თანამდებობიდან ის რამდენიმე თვეში წავიდა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2005 წლის 18 თებერვალს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის მოთხოვნის საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაური ვახტანგ კაპანაძე. ის გენერალური შტაბის მეთაურის მოადგილე ლევან ნიკოლაიშვილმა შეცვალა.

ამ პოსტზე დიდი ხანი არც ნიკოლაიშვილს უმუშავია. 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში სააკაშვილმა ირაკლი ოქრუაშვილი ეკონომიკის მინისტრად გადაიყვანა. ოქრომ ეს იუკადრისა და რამდენიმე დღეში მთავრობიდან წავიდა. მოკლე ხანში მას ლევან ნიკოლაიშვილიც მიჰყვა.

2006 წლის ნოემბერში ამ პოსტზე ზაზა გოგავა დაინიშნა. ეს უკანასკნელი შეიარაღებულ ძალებში ირაკლი ოქრუაშვილმა მოიყვანა. მანამდე ის შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა.

ზაზა გოგავა ამ პოსტზე 2008 წლის ნოემბრამდე დარჩა. აგვისტოს ომის დროს სწორედ ის იყო გაერთიანებული შტაბის უფროსი. შესაბამისად, ბევრი რამ იცის და, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მალე ალაპარაკდება.

გოგავას შემდეგ ამ პოსტზე პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაინიშნა. ის შეიარაღებულ ძალებში მართლაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ამის მიუხედავად, მან თანამდებობა რამდენიმე თვეში, 2009 წლის მარტში დატოვა.

ამის მიზეზი ბაჩო ახალაია გახლდათ, რომელიც მაშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, მაგრამ ყველაფერი მას ეხებოდა. ჩაჩიბაიას უთქვამს, ამ პოსტზე დავრჩები, თუ ჩემს საქმეებში არავინ ჩაერევაო. ახალაია ამას როგორ დაუშვებდა. ჩაჩიბაიაც წავიდა. ახლა მას გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილის პოსტი უკავია.

ჩაჩიბაიას შემდეგ ეს პოსტი გენერალმა დევი ჭანკოტაძემ ჩაიბარა, რომელსაც ასევე რუსული სამხედრო განათლება ჰქონდა, თუმცა მისთვის ეს არავის დაუწუნებია. ჭანკვეტაძემ ეს თანამდებობა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა. მიხეილ სააკაშვილმა ამ პოსტზე გიგი კალანდაძე დანიშნა.

კალანდაძის კარიერა ამ პოსტზე მალე დასრულდა. ის ძალიან მალე დააპატიმრეს და თანამდებობიდან სასამართლო გადაწყვეტილებით გადაყენეს. სწორედ ამის შემდეგ დაინიშნა ამ პოსტზე ირაკლი ძნელაძე, რომელიც გუშინ ვახტანგ კაპანაძემ ჩაანაცვლა.

მიხეილ მაჭავარიანი: „ნაციონალების დაკავებების ახალი ტალღა დაიწყება“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტზე ოთარ ფარცხალაძე მოღვაწეობას უკვე შეუდგა. ნაცმოძრაობაში ეჭვი აქვთ. რომ ფარცხალაძე მათ წინააღმდეგ ანგარიშსწორებას დაიწყებს. ზუსტად როდის და სად გადაიკვეთა მათი გზები, ვერ გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ ნაცმოძს ფარცხალაძის გენპროკურორობის ამბავი გულზე ცუდად მოხვდა.

ოთარ ფარცხალაძის ზრახვების შესახებ გუშინ ერი საქმის კურსში ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ მაჭავარიანმა ჩააყენა. პარტიის გენმდივანი ვანო მერაბიშვილი ციხეშია და მის გათავისუფლებამდე მაჭავარიანი იგენმდივნებს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გენმდივნის მოვალეობის შემსრულებლის ძმა, ვანო მაჭავარიანი, გიორგი მარგველაშვილმა საკუთარ მრჩევლად დანიშნა, რაც მიხეილ მაჭავარიანმა დადებითად შეაფასა. ფარცხალაძის გაპროკურორება კი მას და ნაცმოძს სულს უწეწს და უფორიაქებს. კონკრეტულად კი მაჭავარიანი და ნაცმოძი მთავარი პროკურორის პოსტზე ოთარ ფარცხალაძის დანიშვნით დაკავებების ახალი ტალღის დაწყებას ელიან.

– გულწრფელად გეტყვით, მთავარი უკმაყოფილება ხელისუფლებაში იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ეკონომიკაში რაღაცას ვერ მიაღწიეს, ბენზინის ფასი ერთი ლარით ვერ შეამცირეს, ელექტროენერგიის ფასი ვერ გაამესამედეს, წამლების ფასი ვერ დასწიეს, ხალხი ვერ დაასაქმეს და ასე შემდეგ, მათი მთავარი პრობლემაა, რომ სამართლიანობა ისე არ აღდგა. არის ინფორმაციაც და მოლოდინიც, რომ რაღაცებს აპირებენ, თუმცა, ვნახოთ, რა იქნება. პარტიამ უკვე გაიარა ის, რომ ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია ციხეში არიან, ზურაბ ჭიაბერაშვილზე საქმეა აღძრული და მიდის სასამართლო, დაიკითხნენ ხათუნა კალმახელიძე, დიმიტრი შაშკინი. ჩვენმა 6 ათასამდე აქტივისტმა გასაუბრება გაიარა პროკურატურაში თუ საგადასახადო ორგანოში. გვყავს რეკორდსმენებიც, რომლებიც ექვსჯერ და შვიდჯერ არიან ნამყოფი დაკითხვაზე. ველოდებით ახალი ტალღის დაწყებას, რადგან ჩვენი ოპონენტები არ თვლიან, რომ ასეთი სახის ოპოზიცია მათთვის სასარგებლოა. ყველამ ნახეთ, როცა მთავრობასთან მიდიოდა შეხვედრა, ჩვენ ორიენტირებული ვიყავით საქმეზე – იქიდან მოდიოდა აგრესია, ჩვენ ორიენტირებული ვიყავით იმაზე, თუ რა გაკეთდა და როგორ უნდა გაკეთდეს, იქიდან იყო თითის ქნევა, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

გიორგი მარგველაშვილის მრჩევლის ნაციონალმა ძმამ ხელისუფლებას კიდევ ბევრი რამ დაუგმო. მაჭავარიანისა და მისი პოლიტიკური საძმოს მოსაწონი არც თვითმმართველობის კოდექსი აღმოჩნდა. მისი შეფასებით, ეს კანონპროექტი წყალწყალაა.

მაჭავარიანისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რა თანხებით აპირებს ხელისუფლება იმ რეფორმის განხორციელებას, რასაც პარლამენტში ინიცირებული პროექტი ითვალისწინებს. დეპუტატი ინიცირებულ პროექტში დაფინანსების პრობლემას ხედავს და აცხადებს იმასაც, რომ მუნიციპალიტეტები აღარ იქნება ისეთი, როგორიც არის.

– პროექტით ადგილობრივი თვითმმართველობები იყოფა. ბიუჯეტზე მსჯელობისას ჩვენ ვკითხულობდით, თუ რამდენად გაზრდის ხარჯებს ის, რომ, მაგალითად, ქობულეთში სამი თვითმმართველობა იქნება, რადგან ამას სჭირდება სახელმწიფო დაწესებულებები, ხალხი, სჭირდება ბიუჯეტი. ეს ფული მე ბიუჯეტში ვერ ვნახე. ამიტომ ვამბობ, როგორ არის ეს დაგეგმილი – ქაღალდია, წყალზე ნაწერია თუ რა არის, – აღნიშნა ნაცმოძის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა.

ნაციონალების მწყემსს შეუფასებელი და დაუგმობელი არც გაერთიანებული შტაბების უფროსის ცვლილება დარჩენია.

მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელად ვახტანგ კაპანაძის დანიშვნა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

მისი განმარტებით, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის საკითხი პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომაზე არ განიხილება და აღნიშნულ თემაზე პოლიტიკოსები არ მსჯელობენ.

– პოლიტიკოსებმა იჩქარეს. ყველაზე ცუდი, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა, ის არის, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ბოლო წლებში ვიყავი პარლამენტის ვიცე-სპიკერი, შემდეგ პირველი ვიცე-სპიკერი და ჩემი კარიერის განმავლობაში არასდროს შეხება არ მქონია იმასთან, თუ ვინ იქნებოდა გენერალური შტაბის უფროსი, ვინაიდან, ეს მაშინდელი პრეზიდენტის და შეიარაღებული ძალების უშუალო კომპეტენცია იყო. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება უშვებს შეცდომებს, რაზეც ჩვენ გვაკრიტიკებდნენ, რომ ვახდენდით საკითხების პოლიტიზაციას, მაგრამ ამას ჯართან მიმართებით არ მივიღებთ. გაერთიანებული შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ძნელაძე ერთ-ერთი ყველაზე კარგი სამხედროა, ყველაზე განათლებული სამხედრო სფეროში, რომლის მისამართით არანაირი პრეტენზიები არ არსებობდა – არც პოლიტიკური და არც სამხედრო მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, – განაცხადა მაჭავარიანმა.

ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს იმდენჯერ გამოცვალეს გაერთიანებული შტაბების უფროსები, რომ მათგან საფეხბურთო გუნდი შეიქმნებოდა. ამ ცვლილებების დროს მაჭავარიანს ხმა არასდროს ამოუღია და, საინტერესოა, რაღა ახლა მოუნდა სამხედრო ექსპერტობა.

ნოდარ ნათაძე: „სააკაშვილი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით უნდა გასამართლდეს“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

— ბატონო ნოდარ, მოვიდა დრო, როცა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პირველი პირი აღარ არის. აუცილებელია თუ არა მისი გასამართლება? მოგეხსენებათ, შევარდნაძისთვის არავის მოუთხოვია პასუხი იმ დანაშაულების გამო, რომლებიც მას უკავშირდება.

— სააკაშვილის გასამართლება აუცილებელია ორი მიზეზით. პირველი — სამართლიანობა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, ისევე, როგორც ჟანგბადი და წყალი. უსამართლობის პირობებში ადამიანი მორალურად მკვდარია. მეორე — სააკაშვილისა და მისი გუნდის გასამართლებას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესი. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, აუცილებელია მათი გასამართლება, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით რუსეთის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება იურიდიულად, რომ გავაუქმოთ მის მიერ ხელმოწერილი კაპიტულაციები და დავიბრუნოთ მისი და მისი ხროვის მიერ რუსეთისთვის გადაცემული სტრატეგიული ობიექტები. სააკაშვილის ღალატის ეპიზოდები რამდენიმე ათეულია. დავასახელებთ ორს — ცხინვალის ომის წინა დროის პოლიტიკასა და ომის სარდლობაში სააკაშვილი მოქმედებდა რუსეთის პირდაპირი ბრძანებით. ეს იყო სახელმწიფოს მეთაური, რომელიც მტრის ანტიქართულ პოლიტიკას აპიარებდა — რუსეთის მიერ ომის მზადებას მალავდა მსოფლიოს წინაშე — და ის იყო მთავარსარდალი, რომელიც მტრის მხარეზე ომობდა.

— მტრის მხარეზე როგორ ომობდა?

— მაგალითად, მან ოთხნახევარი საათით შეწყვიტა სროლა (დაზავება მოახდინა), როცა გვირაბში ვენტილაცია გაფუჭებული იყო და რუსეთის ჯარებს, რამდენიმე ათას კაცს, გვირაბში ამოხრჩობა ელოდა.

— ახლახან ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ ქართველები აფხაზებს ისე მოექცნენ, როგორც რუსები ქართველებს. სააკაშვილის პრეზიდენტობას უკავშირდება ამერიკასთან წარმატებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. მოგეხსენებათ, ზოგადად, ქართველებსაც ჩამოუყალიბდათ დადებითი განწყობა ამერიკისადმი. ამერიკის ელჩის აღნიშნული განცხადება როგორ თავსდება ამ კონტექსტში? სწორია თუ არა მისი განცხადება?

— სააკაშვილის პოლიტიკა, ისევე, როგორც შევარდნაძისა, იყო საქართველოს მიზანმიმართული ნგრევა დასავლური ღირებულების სახელით, მაგრამ — რუსეთის დავალებით. ქართულ-ამერიკული მოკავშირეობა თვით ისტორიის მონატანია და არა სააკაშვილის პატრიოტიზმისა. ბატონი ელჩის განცხადება ეწინააღმდეგება ფაქტებს. ქართველი მოსახლეობა, დღეს-დღეობით დევნილი, აფხაზეთის ერთადერთი ავტოქთონური მოსახლეობაა. დღევანდელი „აფხაზები“ (აფსუები) საქართველოში ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ მე-17 საუკუნეში. ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე ავტოქთონური მოსახლეობა არის მხოლოდ ქართული. თავისი დემოგრაფიული ან სამხედრო წარმატება მე-17 საუკუნეში შემოსულ აფსუა ტომებს, ადიღეური მოდგმისას, არასოდეს მიუყვანიათ იმ ნიშნულამდე, რომ ეს ტერიტორია იურიდიულად მოეწყვიტათ საქართველოსთვის. ეს ტერიტორია მუდამ რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში: აფხაზეთის მთავრები შერვაშიძეები იყვნენ ან სამეგრელოს მთავრის დადიანის ვასალები, ან პირდაპირ იმერეთის მეფის ვასალები. სხვა სტატუსი ამ ტერიტორიას არ ჰქონია. აფსუები რომ შემოვიდნენ საქართველოში, ისინი იყვნენ მომთაბარეები, მეჯოგეები და შემოვიდნენ ფეოდალურ ქვეყანაში. მათ შეითვისეს ფეოდალური ფსიქოლოგია. ფეოდალურ ფსიქოლოგიაში ერის ცნება და ეროვნება არსებობს, როგორც ადამიანის განზომილება. მათ ეს ფსიქოლოგია შეითვისეს.

— მგონი, ამერიკის ელჩი გულისხმობდა უახლეს ისტორიას ანუ 1992-93 წლებს.

— ისტორია 1992 წელს არ იწყება. იმის ბაზაზე, რომ აფსუები ფეოდალურ ქვეყანაში შემოვიდნენ და ფეოდალური ცნობიერება იყო ეროვნების, როგორც არსებითი განზომილების მომცემი ცნობიერება, მათ გამოიმუშავეს ახალი თვითცნობიერება. ისინი ფსიქოლოგიურად მოსწყდნენ თავიანთ ჩრდილოელ ძმებს, დანარჩენ ადიღეურ ტომებს ანუ იქ დარჩენილებს, საიდანაც მოვიდნენ და ახალი ეროვნული ცნობიერება შეიმუშავეს. მათ თავი მიაჩნიათ ცალკე ერად. ჩვენ მათ ამ ფსიქოლოგიის ცვლილებას პატივს ვცემთ. პატივს ვცემთ მანამდე, სანამ მათი ფსიქოლოგია არ დაბრუნდება თავის ძველ კალაპოტში ანუ სანამ ისინი არ ჩათვლიან თავს იმავე ადიღეელებად და ამის საფუძველზე არ მოინდომებენ ადიღეელების შემოსახლებას საქართველოში. მაშინ ისინი ფსიქოლოგიურად ისევ დიასპორის მდგომარეობას დაუბრუნდებიან. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს შემადგენლობაში აფსუა ერს უნდა ჰქონდეს სრული შესაძლებლობა თვითრეალიზაციისა ანუ საკუთარი საზოგადოების მშენებლობისა თავისი ტრადიციის, ბუნებრივი მონაცემებისა და გემოვნების მიხედვით ანუ ადამიანის მარადიული იდეალების სოციალური რეალიზაციის, თავისი გემოვნების, ტრადიციების, თავისი ბუნებრივი მონაცემების, ნერვული სისტემის აღნაგობის მიხედვით. პირველი შემთხვევა იყო 1992 წელს აფხაზების მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რაც რუსული არმიის მოქმედების შედეგად განხორციელდა. ისტორიამ არ იცის მომენტი, როცა ეს ტერიტორია არ ყოფილიყოს საქართველოში. ამავე დროს, ისტორიამ იცის მომენტი, როდის შემოვიდნენ აფსუები. ეს არის ძირითადად მე-17 საუკუნე. შევარდნაძე აფხაზეთს ადარებდა ჩეჩნეთს. შევარდნაძე ამბობდა: არ იქნებოდა აფხაზეთის ამბები, არ იქნებოდა ჩეჩნეთის ამბები, მაგრამ, რეალურად, ეს სულ სხვადასხვა მოვლენებია. ისტორიამ არ იცის, როდის მოვიდნენ ჩეჩნები იმ მიწაზე, სადაც სახლობენ (ისინი იქ მუდამ სახლობდნენ), მაგრამ ისტორიამ ზუსტად იცის, ჩეჩნეთი როდის და როგორ აღმოჩნდა რუსეთის შემადგენლობაში. ეს არის რადიკალური განსხვავება. ამერიკის ელჩის სიტყვები აღძრავს ერთ უცნაურ აზრს — რამდენიმე თვის წინ სააკაშვილის ელჩმა გაეროში გადადგა ყოვლად უმართებულო ნაბიჯი, ხმა მისცა გაეროში პალესტინის ცნობას ანუ გადაგვამტერა ისრაელი. შექმნა საბაბი იმისა, რომ ისრაელმა გაბრაზებულ გულზე აფხაზეთი ცნოს. ეჭვი ჩნდება, რომ ამერიკის ელჩის სიტყვები ვიღაცას ამხნევებს საქართველოს ტერიტორიის სხვა ქვეყნად ცნობის საქმეში.

— ვის ამხნევებს?

— ორი დღის წინანდელი ფაქტია. ნეტანიაჰუ ჩადის მოსკოვში. რუსული ეკრანის კომენტარია, რომ მისი მიზანია, პუტინთან საერთო ენა გამონახოს. მან უნდა სთხოვოს პუტინს, არ დაეთანხმოს ირანთან შეთანხმების დადებას ანუ ირანის ბირთვულ შეიარაღებას. ასე რომ, იკვეთება პერსპექტივა (ადრევე ჩაფიქრებული გეგმის საფუძველზე), ისრაელმა აფხაზეთი ცნოს იმის ფასად, რომ პუტინი არ ცნობს ირანის ბირთვულ პროგრამას.

— პუტინისა და ნეტანიაჰუს შეთანხმება ირანთან დაკავშირებით როგორ უკავშირდება აფხაზეთს?

— ხსენებულ სიტუაციას დროში ემთხვევა ბატონ რიჩარდ ნორლანდის ზემოთ ციტირებული სიტყვები აფხაზეთის შესახებ.

— სხვათა შორის, ისრაელთან ურთიერთობები დარეგულირდა. ბიძინა ივანიშვილი ვიზიტად იმყოფებოდა ისრაელში. იქიდანაც ბოლო პერიოდში ჩამოვიდა დელეგაცია ბიზნესმენებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების შემადგენლობით და ორ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმზეც შეთანხმდნენ.

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენი თემისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ერთია ყოველდღიური ურთიერთობები, მეორეა ისტორიულმასშტაბიანი სტრატეგია. ისრაელი შეუძლებელია უკმაყოფილო არ იყოს საქართველოს ხელისუფლების დიპლომატიის მცდარი ნაბიჯით. შესაძლებელი ეჭვი მდგომარეობს იმაში, რომ თუ, რაც ვთქვით, ასეა, ეს გაკეთდა იმისათვის, რომ აღნიშნული ოპერაცია ჩატარდეს. სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილმა ინტერნეტში დაწერა, რომ ჩვენ ზურგს უკან ხდება შეთანხმებები, რომელიც ჩვენ გვეხება. როგორც ჩანს, პირველ რიგში, ამ სიტყვებში ქალბატონმა სალომემ სწორედ ეს იგულისხმა.

— პალესტინასთან დაკავშირებით მიცემული ხმა მუსლიმანური ქვეყნების სიმპათიას მოგვიტანს.

— მუსლიმანური ქვეყნების სიმპათია ჩვენ ძალიან გვჭირდება. სხვა თუ არაფერი, რუსეთის სპეცსამსახურებს ვერ უნდა ეშვებოდეთ საბაბი, რომ თითქოსდა ნაწყენი მუსლიმანების სახელით ჩვენ კატასტროფები მოგვიწყონ, მაგრამ საქართველოს ურთიერთობას მუსლიმანურ სამყაროსთან (სამყაროსთან, რომელიც თავისთავადვე ძალიან რთული და არაერთგვაროვანია), ფაქტორების ძალიან დიდი კომპლექსი მართავს. წეღან ხსენებული ფაქტორი აქ დიდ როლს ვერ ითამაშებს.

— ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ ეს არ იყო მისი პოლიტიკური განცხადება (თუმცა, მოგეხსენებათ, ელჩი არ არის კერძო პირი და მისი ყოველი სიტყვა პოლიტიკურ ჭრილში განიხილება) და რომ ისინი არ უხვევენ იმ კურსს, რომელიც აღებული აქვთ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით ანუ არაღიარების პოლიტიკას აგრძელებენ.

— ძალიან კარგია, რომ მან ეს დასძინა, მაგრამ ამერიკის ელჩის ნათქვამი, ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენ საწინააღმდეგოდ მიმართული ფაქტია.

— დღეს საქართველოში საუბრობენ სააკაშვილის გასამართლების მიზანშეუწონლობაზეც — მსოფლიო ამას ვერ გაიგებსო, მით უმეტეს, რომ ნაციონალები მუდმივად აცხადებენ, ჩვენ მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდებაო.

— აქ ერთმანეთს უპირისპირდება არა პრაგმატული გათვლები, არამედ პრინციპები. სახელმწიფოში აუცილებელია, მოქალაქეებს, განურჩევლად პიროვნებებისა, მივცეთ სამართლიანობის გარანტია. პრემიერ-მინისტრმა დაუშავა, პრემიერ-მინისტრი ციხეში ზის. თქვენ გინდათ, ეს დავარღვიო და მაშანტაჟებთ ამით? მე ამას ვერ გადავწყვეტ, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ვის აქვს უფლება დედამიწაზე, რომ გირგვლიანის მკვლელებს აპატიოს მკვლელობა? განურჩევლად იმისა, მინისტრია, პარტიის ლიდერი თუ რიგითი, ყველას უნდა მოეკითხოს პასუხი ჩადენილი დანაშაულის გამო.

— ამის უფლება არავის აქვს, მაგრამ ამბობენ, რადგან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასამართლებენ, გინდა თუ არა, საქმეს პოლიტიკური ელფერი დასდევსო.

— არ არის სწორი. არავითარი პოლიტიკური ელფერი არ არსებობს. მინისტრი იმიტომ კი არ ზის ციხეში, რომ პოლიტიკური მტერია, არამედ იმიტომ, რომ დამნაშავეა. ასე უნდა უპასუხონ. დასაბუთება რიხიანად უნდა გამოთქვა. უნდა თქვა, მე ციხეში მყავს დამნაშავე, მნიშვნელობა არ აქვს, ის მინისტრი იყო თუ რიგითი.

— ნაციონალებმა ზედიზედ ორჯერ წააგეს არჩევნები, მაგრამ მაინც ხშირად იმეორებენ, ჩვენ დავბრუნდებითო. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილსა და ნაციონალებს ხელისუფლებაში ისევ მოსვლის რამენაირი შანსი აქვთ?

— ეგ დამნაშავეთა ხროვა გარედან მხარდაჭერით დატოვეს, როგორც ალტერნატიული პოლიტიკური ძალა. სააკაშვილის პოლიტიკური გუნდი იმპოზიციის სტატუსში დატოვეს.

— თუკი გაყალბება არ იქნება, მოსახლეობის გონება მიმართულია იქითკენ, რომ ნაციონალებს კვლავ ხმა მისცენ?

— არავითარ შემთხვევაში. თუ ახალი ხელისუფლება არ გადაწყვეტს ხალხის პრობლემებს და ისე არ შეაძულებს ხალხს თავს, რომ თქვან, ოღონდ ესენი წავიდნენ და, ვინც გინდათ, ის მოვიდნენო, ნაციონალების რეანიმაცია ვერ მოხდება, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეშმაკს არ სძინავს.

შსს-ს წარმომადგენლები უნგრეთის და იტალიის ელჩებს შეხვდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი დავით სუჯაშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი შალვა კვინიხიძე საქართველოში უნგრეთისა და იტალიის რესპუბლიკების ელჩებს შანდორ საბოსა და ფედერიკა ფავის შეხვდნენ.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე და შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს.

გარდა ამისა, მათ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ხელოვნურად აღმართული ბარიერების საკითხი განიხილეს, რაც როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის.

ნიუსპრესი

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბის სამმართველოს დეტექტივების და ამავე სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, 1964 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი გელა ბ. თბილისში, გოთუას ქუჩაზე დაიკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას რამდენიმე შეკვრად დაფასოებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, სულ ამოღებულია 16 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 8 გრ ჰეროინს შეიცავს.

შსს-ს ინფორმაციით, ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გელა ბ. დაკავების მომენტში ჰეროინის და მეტადონის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

ნიუსპრესი

სოციალურად დაუცველ ოჯახებს 7-7 კუბური მეტრი შეშა დაურიგდება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, ყველა ოჯახს, რომელიც სოციალურად დაუცველთა ბაზაშია, 7-7 კუბური მეტრი შეშა დაურიგდება.

როგორც პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სათბობ შეშასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებებია დაგეგმილი, რომლის თანახმადაც სრულიად შეიცვლება სათბობი შეშის გაცემის წესი.

მისივე თქმით, შესაბამისი ცვლილებები გარემოს დაცვის მინისტრს უკვე მომზადებული აქვს, რომელსაც ის მთავრობის პირველივე სხდომაზე წარადგენს. ცვლილებები კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში შევა.

მედიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „გერქვას საქართველოს ჯარისკაცი, უდიდესი პატივია“

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფს პროფესიული დღესასწაული მიულოცა.

გუშინვე, თავდაცვის სპეციალური ოპერაციების ძალებს დაარსებიდან 14 წელი შეუსრულდა, რომელთან დაკავშირებითაც საზეიმო ღონისძიება ვაშლიჯვრის სამხედრო ბაზაზე გაიმართა. ღონისძებაში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მიიღეს მონაწილეობა.

„14 წელია თქვენ უმნიშვნელოვანეს და უაღრესად საპატიო საქმეს ემსახურებით. გერქვას საქართველოს ჯარისკაცი, უდიდესი პატივია. თქვენ სამშობლოს სადარაჯოზე, ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დგახართ — ერთგულებით, საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თქვენი საბრძოლო წარმატებები შეუპოვრობისა და სიმტკიცის მაგალითია. სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების საბრძოლო შემართება, საბრძოლო ტრადიციები, სანიმუშოა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის“ — განაცხადა ირაკლი ალასანიამ სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, აღნიშნული ჯარისკაცების სამსახური განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

„ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდება მაღალი პროფესიონალიზმი და ჩვენ ვამაყობთ თქვენი პროფესიონალიზმით! გისურვებთ ყველას, ღირსეულად იდგეთ ქვეყნის სამსახურში და თქვენი წვლილი შეიტანოთ საქართველოს მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების პროცესში“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნიუსპრესი

ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს

ჯილდო ყოფილ პრემიერ-მინისტრს მსოფლიო იურისტთა ასოციაციის დელეგაციამ გადასცა. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პაატა ცნობილაძე, მეორე ვიცე-პრეზიდენტი კიმ კორლი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი აშშ-ში ბენ გრიფიტი, აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ევდოკიმოვი, — იტყოფინება ივანიშვილის ოფიციალური გვერდი ფეისბუკზე.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბიძინა ივანიშვილს მიღებისათვის, მისი ღვაწლისათვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში. მსოფლიო იურისტთა ასოციაცია წელიწადში ერთხელ, მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის მსოფლიოს მასშტაბით ორ — საერო და სასულიერო პირს არჩევს და აჯილდოებს. სამართლიანობის უმაღლესი ორდენი ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ მინიჭებული აქვთ რომის გარდაცვლილ პაპს იოანე პავლე მეორეს, დიდი ბრიტანეთის დედოფალს, ასევე სხვა პირებს.

მედიანიუსი

რა ვერ გაიყვეს ნარმანიამ და ბობოხიძემ

ნათია ხურცილავა

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებთან დაკავშირებით გუშინ პროექტი დაინტერესებულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ განიხილა.

თემაზე – „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, პრობლემები და გამოწვევები“ მრგვალი მაგიდა „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. შეხვედრას ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ხელისუფლების წევრები და ოპოზიცია ესწრებოდა.

გუშინ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანული კანონის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

პროექტის პრეზენტაციაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრებმა, თბილისის მერიის, თვითმმართველობისა და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა უფრო დეტალურად ისაუბრეს იმ შენიშვნებზე, რომელიც ექსპერტებს აქვთ.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის თემაზე მრგვალი მაგიდა ხმაურის ფონზე მიმდინარეობს.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის პროექტის განხილვას ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია ესწრებოდა, რომელმაც საზოგადოებას ფაქტიურად ქვეყნის მოწყობის ახალი მოდელი გააცნო.

ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ გაიმართა, რომელმაც თვითმმართველობის რეფორმის ალტერნატიული პროექტი წარმოადგინა.

დავით ნარმანიამ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მისი სამინისტროს მიერ შემუშავებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის“ შესახებ კრიტიკული სტატიებიდან ამონარიდები წაუკითხა და აღნიშნა, რომ „ცალკეული ექსპერტები წინა ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციას გამოხატავენ“, რასაც ნარმანიასა და დეპუტატ აკაკი ბობოხიძეს შორის კამათი მოჰყვა.

მინისტრსა და დეპუტატს შორის მწვავე დაპირისპირება მოხდა.

– ყველას ჩვენ ჩვენი ცხრა წელიწადი გვაქვს და ციდან არც ერთი არ ჩამოფრენილხართ. თქვენც, ბატონო დათო, თქვენც, ბატონო ირაკლი და ა.შ. თქვენი წარსულით მოდიხართ და 9 წლის მერე, როგორც მეათეზე გადახვალთ, უკვე თქვენ შეგეხებათ, – განაცხადა ბობოხიძემ.

აკაკი ბობოხიძის ამ რეპლიკას მინისტრ ნარმანიას კითხვა მოჰყვა – კაკო, შენი და ჩემი ცხრა წელი ერთი და იგივეა?!

აკაკი ბობოხიძის პასუხი ასეთი იყო:

– არა, ღმერთმა ნუ ქნას, დათო, ჩემი და შენი 9 წელი ერთი და იგივე იყოს. 20 წელია, აქტიურად ვმონაწილეობ ამ ქვეყნის ცხოვრებაში, ჩემი ცოდვით, ჩემი პლუსით და ჩემი მინუსით, განსხვავებით თქვენგან, რომელიც მოგიყვანათ ბიძინა ივანიშვილმა მზამზარეულზე, – უთხრა ბობოხიძემ ნარმანიას.

ექსპერტების ნაწილი იმ ხარვეზებზე საუბრობს, რომელიც, როგორც ისინი აცხადებენ, პროექტის ავტორებს გათვალისწინებული არა აქვთ.

– ფაქტობრივად, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალ შემოთავაზებასთან გვაქვს საქმე. თუმცა, ის თუ რა რისკებს შეიძლება ეს შეიცავდეს ისეთ რეგიონში, როგორიც საქართველოა, გათვლილი არა აქვთ. მაგალითად, ალტერნატიული კანონპროექტის ავტორები აღნიშნავენ ასეთ ლაფსუს: თუ თელავი გამოიყოფა, როგორც თვითმმართველი ქალაქი, დანარჩენ რაიონს უნდა დაერქვას ყარაჯალის რაიონი, – აცხადებს პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე.

აკაკი ბობოხიძე, ნაციონალური მოძრაობის წევრი:

– ამ რეფორმის განხორციელებას არა მხოლოდ პირველ ეტაპზე, არამედ ზოგადად ძალიან ბევრი ფული სჭირდება. ხარჯვის პრობლემა მაინცდამაინც პრობლემური არ იქნება იმ შემთხვევაში თუ ეს ყველაფერი ეფექტური და კომფორტული იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის, მაგრამ გაიხარჯოს ფული ყოველთვის და თან მუდმივად და ვერ დავინახო ეფექტურობა, კომფორტი ჩვენი მოსახლეობისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობ, ამ ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილი არ იქნება.

ალექსანდრე შალამბერიძე, „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი:

– ჩვენ შენიშვნები ძირითადად ქონებასთან დაკავშირებით გვაქვს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განკარგვას ვგულისხმობ. ტყის ფონდის მიწები, საძოვრები კვლავ არ გადადის მუნიციპალურ საკუთრებაში. ეს საკითხი არის ფინანსური საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. პროექტის მიხედვით საუბარია მხოლოდ და მხოლოდ საშემოსავლო ნაწილის გადაცემაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მეტი უნდა გადაეცეს – მოგების გადასახადი და ა.შ. რადგან ფული იმ პრობლემის გადასაჭრელად, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნია, თავად ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდეს და არ იყოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გუბერნატორების საკითხი. ეს საკითხი დღემდე რეგულირდებოდა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოს მუნიციპალიტეტებში. დღეს იქმნება ერთგვარი რეგიონები რწმუნებულების ინსტიტუტის შესაბამისად, როგორც იყო. აირჩევა წარმომადგენლობითი ორგანო, მაგრამ არჩევითობა შუა გზაზე წყდება. კვლავ ძალაში რჩება გუბერნატორის დანიშვნა. ეს კი ძალიან ეკლექტურია. დანიშნულ გუბერნატორს არანაირი დამოუკიდებლობა არ ექნება. ამ დონის თვითმმართველობებს არანაირი სხვა სახის უფლებები არ ექნებათ. ამდენად, ეს საკითხი გასარკვევია. ვფიქრობ, ეს საკითხი ცალკე უნდა იქნას გატანილი. თუ შემოგვაქვს ეს საკითხი, მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი ცალკე უნდა იყოს გატანილი, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც რეგიონების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, გუბერნატორის ინსტიტუტს ეხება, ეს ცალკე კანონი უნდა იყოს.

– აპირებენ ამ შენიშვნების გათვალისწინებას?

– ეს შეხვედრაც სწორედ ასეთი შენიშვნების განხილვას ეძღვნება. არის საკითხები, რომელიც საკამათო იქნება. ამ შეხვედრამაც აჩვენა, რომ ძალიან ბევრი საკამათო საკითხია. არის ზოგიერთი საკითხი, რაზეც შეიძლება დათანხმება, მაგრამ ვფიქრობ, ძალიან რთული იქნება. პროფესიულ დონეზე როდესაც ხდება მსჯელობა, მაშინ ძალიან ბევრი მინუსი იჩენს თავს. ამდენად, საჭიროა ამ შენიშვნების გათვალისწინება. შეხვედრას მინისტრიც ესწრებოდა, მისი მოადგილეც, კანცელარიის წარმომადგენელი. ვფიქრობ, კანონპროექტის დებატები პარლამენტში უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ცუდ თვითმმართველობის კანონს მივიღებთ, ამ შემთხვევაში ადამიანები თავისუფლებას, რომელიც თვითმმართველობას ახლავს, ვერ გაიგებენ.

გიორგი კობახიძე: „არჩილ კბილაშვილს მუშაობაში ხელს „ქართული ოცნების“ წევრები უშლიდნენ“

შორენა კოწოწაშვილი

რატომ არის არჩილ კბილაშვილის განცხადებაში ღარიბაშვილზე აქცენტი მეორეხარისხოვანი და რა გამოკვეთა მთავარმა პროკურორმა თანამდებობიდან წასვლით? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი კობახიძესთან

– ბატონო გიორგი, საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური რეალობის წინაშე ვდგავართ. რას იტყვით ამ ფონზე მთავრობაში მიმდინარე ცვლილებებზე. ობიექტურია კრიტიკა იმის თაობაზე, რომ სახელისუფლო გუნდი სუსტია და ბალასტის ჩამოცილებას საჭიროებს?

– გეთანხმებით, რომ ახალი რეალობა შეიქმნა ქვეყანაში და ახალი ეტაპი იწყება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, თვისობრივად განსხვავებულია ყველა წინა პერიოდისა და ეტაპისაგან. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მსგავს რეალობაში ჩვენ არასდროს ვიმყოფებოდით. რა მაქვს მხედველობაში: ხელისუფლების ყველა შტოს, ვგულისხმობ, პარლამენტს, მთავრობას და პრეზიდენტს, ზურგს უმაგრებდა ბიძინა ივანიშვილი თავისი ავტორიტეტით, თავისი ძალით. ის ახლა პოლიტიკიდან გავიდა ანუ რეალობას, უპირველეს ყოვლისა, ის განაპირობებს, რომ მთავარი პოლიტიკური ფიგურა ოფიციალურად ტოვებს პოლიტიკურ სათამაშო მოედანს. ეს არის მთავარი დატვირთვის მატარებელი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არჩევნები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი, თორემ ნაკლებად იმით, რომ მარგველაშვილია ქვეყნის ახალი პრეზიდენტი. იმიტომ, რომ აქაც იმასთან გვაქვს საქმე, რომ მთავარი მხარდაჭერა ხალხისა ისევ ივანიშვილზე მოდის და არა უშუალოდ კანდიდატზე. აი, ეს არის სპეციფიკურობის მთავარი საფუძველი და მიზეზი დღევანდელი სიტუაციის. ეს თავისთავად განაპირობებს შემდეგს: ხელისუფლების მიმართ ბევრი პრეტენზიაა, განსაკუთრებით პროფესიონალიზმთან და პოლიტიკურ ნებასთან დაკავშირებით, მაგრამ მთავარი პრეტენზია და საფრთხის მაუწყებელი არის ის, რომ ამ შტოების ლეგიტიმაციის ხარისხი არის ძალიან დაბალი, ისევ და ისევ იმ მიზეზის გამო, რაზეც წეღან მოგახსენეთ. მას პირდაპირი პასუხისმგებლობა, ხალხთან, საზოგადოებასთან არ გააჩნია. ეს არის ძალიან დიდი შემაფერხებელი თვითონ ამ პოლიტიკური სუბიექტებისთვის. პარლამენტთან დაკავშირებით ჩვენ ადრეც გვისაუბრია და სიღრმეებში აღარ წავალ, უბრალოდ ვიტყვი, რომ იმთავითვე ყველა ვთანხმდებოდით ერთ რამეში, რომ ეს პარლამენტი იყო დაბალი ლეგიტიმურობის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იყო მაღალი ხარისხით გაყალბებული ნაცმოძრაობის მხრიდან და მათ მანდატების ის რაოდენობა ნამდვილად არ დაუმსახურებიათ, რომელიც მიიღეს. ეს ერთი; მეორე მხრივ, თვითონ „ქართული ოცნება“ იყო გარკვეული კომპრომისის საფუძველზე დაკომპლექტებული ანუ „ქართული ოცნების“ ამოცანას მაშინ წარმოადგენდა ნაცმოძრაობის გაშვება ასპარეზიდან და ის იყო შეკრული იმისთვის, რომ აღმშენებლობითი პროცესები ეწარმოებინა, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, ეს შემადგენლობა ნამდვილად არ წარმოადგენს საუკეთესო ნაკრებს. ჩვენ მაშინ გვიჭირდა სამართლებრივი საფუძვლების მოძიება იმისათვის, რომ ეს ყველაფერი სასამართლოს გზით გაგვეპროტესტებინა და უკანონოდ გვეცნო პარლამენტი. მაგრამ ეს საფუძველიც გამოჩნდა 25 ოქტომბერს. გახსოვთ, შსს-მ გააკეთა განცხადება, რომ აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ყალბი პირადობის მოწმობები. ლაპარაკია ათასებზე, რომლებიც გამოიყენებოდა არჩევნების გასაყალბებლად 2012 და წინა წლებში. ეს სერიოზული საფუძველია იმისათვის, რომ პროკურატურამ გამოძიება დაიწყოს და დარწმუნებული იყავით, კითხვები აღარავის დარჩება ამ პარლამენტის კანონიერებასთან დაკავშირებით. როცა პარლამენტი დაბალი ლეგიტიმაციისაა, ეს მთავრობაზეც ვრცელდება, რადგან პარლამენტი ამტკიცებს მთავრობას. რაც შეეხება მარგველაშვილს, მისი გაპრეზიდენტება მთლიანად ივანიშვილის დამსახურებაა. აი, ეს არის რეალობა და აქედან გამოსავლის გზების ძებნა არა მარტო პოლიტიკური სუბიექტების, არამედ მთლიანად ქართველი საზოგადოების ამოცანაა.

– ივანიშვილის პარალელურად თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე განცხადება გააკეთა არჩილ კბილაშვილმა. მთავარი პროკურატურის სისუსტე შიდაუწყებრივი დაპირისპირების შედეგია, თუ მართლაც ღარიბაშვილთან შეუთანხმებლობის გამო დატოვა კბილაშვილმა პოსტი?

– კბილაშვილის გადადგომას რამდენიმე მხარე ჰქონდა. ვფიქრობ, მისი განცხადება პოლიტიკური შინაარსით ძალიან დატვირთული იყო. პირველ რიგში, მხედველობაში სწორედ ის მაქვს, რომ მან დაუფარავად, არაორაზროვნად განაცხადა, რომ ხელი ეშლებოდა რეფორმის სწრაფი ტემპით გატარებაში. ამის მიზეზად კბილაშვილმა პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილი დაასახელა. მან თქვა: ჩვენ სხვადასხვა შეხედულების ვიყავით ამასთან დაკავშირებითო. ეს არის ძალიან რთული შინაარსის განცხადება, რომელიც ივანიშვილისგან ახსნას მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ის ოფიციალურად პოლიტიკას განერიდა. ეს არის ძალიან სერიოზული კონფრონტაციის ნიშნების შემცველი საზოგადოებასთან. ხალხის მთავარი მოთხოვნა და მეორე მხრივ, ,,ქართული ოცნების“ მთავარი პირობა იყო ის, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა დადებოდა საფუძვლად ქვეყნის აღმშენებლობას. ამის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანას წინსვლა ჰქონდეს. კბილაშვილმა ამ ყველაფრის ფრჩხილები გახსნა. ვიმეორებ, მისი ბოლო განცხადება ძალიან მრავლისმთქმელი იყო. მე, პირადად, ნაკლებად ყურადსაღებად მეჩვენა მისი სიტყვები ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით. მე ჩვეულებრივ შიდა კამათის ხარისხს მივანიჭებდი ამ წინადადებას. უფრო მნიშვნელოვანი იყო, რაც მან ივანიშვილთან დაკავშირებით თქვა. ფაქტია, პრობლემა პრობლემად რჩება. ჩვენი უკმაყოფილება, რომელიც კბილაშვილის მისამართით იყო, აღმოჩნდა, რომ თურმე ვექტორს სწორი მიმართულება უნდა შევურჩიოთ. ამ განცხადებაში მთლიანად პოლიტიკური გუნდის პასუხისმგებლობა გამოიკვეთა. ვიმეორებ, ეს არ არის ახირება. ეს არის პოლიტიკის კანონზომიერება, რომ თუ სამართალი არ იქნება აღდგენილი, ჯერ ერთი, ის წამახალისებელი იქნება დღევანდელი და მომავალი ხელისუფლებისთვის, მეორეც, ეს ვითარება იქნება მუდმივად ფეთქებადსაშიში. იმიტომ, რომ ის, ვისაც პასუხს არ ვთხოვთ თავისი ,,დამსახურების“ გამო, ის მუდმივად ატარებს შიშს, რომ ადრე თუ გვიან ამისთვის პასუხი მოეთხოვება. ამიტომ მუდმივად ორიენტირებულია, რომ ვითარება თავის სასიკეთოდ შემოატრიალოს. დენთის სუნი მანამ იტრიალებს ქვეყანაში, სანამ ქვეყანაში ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. ეს არის ძალიან რთული მახასიათებელი დღევანდელი ვითარების.

– ზოგიერთი პოლიტიკოსის შეფასებით, ერთპარტიული მმართველობისკენ მიისწრაფვის ხელისუფლება. ასეა?

– როდესაც პოლიტიკურ სიტუაციაზე ვსაუბრობდით, ერთი უარყოფითი ტენდენცია მინდა გამოვყოთ: ახალი ხელისუფლებაც მიისწრაფვის ერთმმართველობისკენ. მათი დამოკიდებულება საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ასეთი იყო. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მარგველაშვილმა უნდა გაიმარჯვოს. თან იქვე არჩევანს აკეთებდნენ საკუთარი კომფორტული ოპოზიციის შექმნაზეც. მათ დაუფარავად თქვეს, რომ მათთვის ყველაზე მისაღებია ნაცმოძრაობასთან დუეტში პოლიტიკის კეთება, მაგრამ ეს იდილია გარკვეულწილად დაარღვია არჩევნებმა თავისი შედეგებით. კერძოდ, ამ ასპარეზზე შეიჭრა მესამე სუბიექტი – დემოკრატიული მოძრაობა ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. ის შედეგი, რომელიც არჩევნებზე დაიდო, პოლიტიკურ რეალობაში ადასტურებს, რომ ეს არის სერიოზული საყრდენი იმისათვის, რომ სამომავლოდ ძლიერი ნაბიჯებით ვიაროთ პოლიტიკაში. შორს არ არის უახლოესი გამოცდა – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, შორს არაა ასევე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებიც.

– ეს ,,ოცნების“ ლიდერთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა, თუ დასავლეთის დაკვეთა შესრულდა?

– რაც შეეხება გარედან მართვას და კარნახს, რომ არ იყოს ეს გარედან მოწოდებები, თვითონ „ოცნების“ ინტერესებშიც არ იქნებოდა ასეთი განცხადებების კეთება. ასე არ დაუგდებდა ხელისუფლება ყურს გარედან მოსულ ხმებს. ვერ წარმომიდგენია ვერც ერთი ოფიციალური პირი აშშ-ს თუ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფოსი, რომელიც იტყვის, რომ რა კანონი, რის კანონი, არ გაითვალისწინოთ ქართველი ხალხის ინტერესები და რასაც ჩვენ გეტყვით, ის გააკეთეთ; გააკეთეთ ის, რომ ჩვენ ძველ ფავორიტებს, ნაციონალებს ხელი არ ახლოთ. ასეთი დამოკიდებულება წარმოუდგენელია. ვერავინ დამაჯერებს, რომ დასავლეთის ოფიციალური წრეები ასე ესაუბრებოდნენ ჩვენს ხელისუფლებას. ლობისტებზე არ ვსაუბრობ, რადგან ეს სულ სხვა თემაა. ამიტომ ვიმეორებ, ეს ტენდენცია არის „ქართული ოცნების“ ინტერესში. თუ ვინმე ეუბნება, იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენას პოლიტიკური კონტექსტის სახე არ მიეცეს და არა იმ კონტექსტში, რომ კანონი თავზე გადაახიონ საკუთარ ამომრჩეველს.

– თქვენ ახსენეთ, რომ ნაციონალებისადმი ლოიალობა ,,ქართული ოცნების“ ინტერესებშია. ეს ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარეობს? ითქვა, რომ ბიზნეს ინტერესების გადანაწილება აქტიურად ხორციელდება.

– არა. ლაპარაკია იმაზე, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში კომფორტულად იგრძნონ თავი. ,,ოცნება“ ყველანაირად ცდილობს, რომ ეს ოთხი წელი ბოლომდე მიაყვანინოს ნაცმოძრაობას და პოლიტიკური სივრცე მოასუფთავოს სხვა სუბიექტებისგან. უნდათ ასეთი ვითარება მარადიულ მმართველობაში გადაიყვანონ. ერთმმართველობა არის ჩიხისკენ მიმავალი გზა. სამწუხაროდ, მათთან ერთად ჩიხში ქვეყანაც შედის. ამ შემთხვევაში „ოცნებას“ პოლიტიკურ ოპონენტად არ განვიხილავ. სულაც არ არის ჩემთვის მათგან გამოწვეული კრიზისი მომგებიანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზით პარტიულ მიზნებს შეიძლება უფრო იოლად მივაღწიო. ქვეყნისთვის არის წამგებიანი, როცა ხელისუფლება თავს ვერ ართმევს თავის უფლება-მოვალეობებს. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ გაითვალისწინოს ხელისუფლებამ და პოლიტიკური ინტერესების სფეროში დააბრუნოს პროცესი და არა პარტიული ინტერესებით მართოს. საბოტაჟი და ის დესტრუქციული მოქმედებები, რაც თვალსაჩინოა, ხელისუფლებას შეეძლო აღეკვეთა.

რა უნდა ჯონ მაკკეინს

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას უკვე ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართული მედიისთვის მაინც მოთხოვნად ფიგურად რჩება. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოების თუ მედიის მთელი ყურადღება ახალი მთავრობის ფორმირებასა და შიდა ცვლილებებზე იყოს გადასული, ყოფილი პრეზიდენტის თითქმის ყველა განცხადება თუ უცხოურ მედიაში გავრცელებული ინტერვიუ მედიის ტოპ სიახლეებში ხვდება.

შორენა გონგლაძე

ამჯერად საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში სენატორ ჯონ მაკკეინის მიმართვა გამოაქვეყნა:

– საქართველოში მიმდინარე ისტორიული ცვლილებების პარალელურად, ახლა იდეალური დროა, უკან მივიხედოთ და ვრცლად გავაანალიზოთ, თუ რამდენს მიაღწია ქართველმა ხალხმა. ამასთან, იმაზეც გავამახვილოთ



ყურადღება, თუ რამდენი გამოწვევაა დარჩენილი. ეს კონფერენცია იდეალურია ამ ყველაფრის გასაანალიზებლად.

ის, რაც ახლა საქართველოში ხდება, ძალაუფლების საოცრად მშვიდობიანი გადაცემა ერთი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებიდან მეორეზე, ნამდვილად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა არა მხოლოდ ამ ქვეყნის ისტორიაში, არამედ მთელი რეგიონისთვის, მაშინ როდესაც მსოფლიოს უამრავი სახელმწიფო ჯერ კიდევ იბრძვის იმისათვის, რომ საფუძველი ჩაუყაროს დემოკრატიულ მმართველობას, რაც ხშირად წარუმატებლადაც კი მთავრდება. მაშინ, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება კვლავაც საფუძველია საზოგადოებრივი უწესრიგობისა და ძალადობისაც კი, საქართველო შთაგონების წყაროა მთელი მსოფლიოსთვის.

საქართველოში ხელისუფლების გადაბარების პროცესი გადამწყვეტი ნიშანსვეტია იმისათვის, თუ როგორ განიცადა ქვეყანამ პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესი, რასაც ცოტა თუ წარმოიდგენდა 2003 წელს, როდესაც ათიათასობით ქართველი გამოვიდა საკუთარი ხმის დასაცავად, რათა მათი ხმები სამართლიანად ყოფილიყო დათვლილი და ეს უფლება დაეცვათ წინამორბედი მთავრობისაგან.

მადლობა ქართველ ხალხს ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაუღალავი შრომისა და თავდადებისთვის. რეფორმატორმა მთავრობამ ავტორიტარული სახელმწიფო, დახურული და სტაგნაციის მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკით აქცია დემოკრატიულ სისტემაზე აწყობილ ქვეყნად, ძლიერი, წარმატებული და თავისუფალი ეკონომიკით. საქართველოს ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, ეკონომიკა ლიბერალური გახდა, დემოკრატია ღრმავდება და კიდევ უფრო გამჭვირვალე და საქართველოს მოქალაქეებისთვის საპასუხისმგებლო ხდება.

საქართველოში გატარდა პოლიციის რეფორმა, რომელიც მოდელი გახდა სხვა დემოკრატიისკენ მიმავალი ქვეყნებისათვის. მე ვყოფილვარ ამ ქვეყანაში ვარდების რევოლუციამდე და მახსოვს, რომ დაბნელების შემდეგ თბილისში გარეთ ყოფნა სახიფათო იყო. დღესდღეობით დანაშაულისა და კორუფციის რიცხვი საგრძნობლად არის შემცირებული.

ამ პერიოდში საქართველომ უპრეცედენტო ეკონომიკურ ზრდას მიაღწია. მსოფლიო ბანკის რეიტინგების მიხედვით, ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მსოფლიოში მერვე ადგილზეა. „თრანსპარენც ინტერნატიონალის“ კვლევების თანახმად კი, საქართველო ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანაზე ნაკლებად კორუმპირებულია. უფრო მეტიც, საქართველო საკუთარი გამოცდილებით სხვა ქვეყნებს უჭერს მხარს, რომლებიც ახლა ცვლილებების პროცესში არიან. საქართველო მონაწილეობს ნატოს მისიაში ავღანეთში.

ამ ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური პროგრესი ყველა ქართველის დამსახურებაა და ამით ქვეყნის თითოეული მოქალაქე უნდა ამაყობდეს. ამავე დროს, განსაკუთრებულ შექებას ერთი ადამიანი იმსახურებს – ეს პრეზიდენტი მიშა სააკაშვილია. სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილის იდეალიზმმა შთააგონა მისი მეგობარი ქართველები 2003 წელს, ჩასჭიდებოდნენ მათ დემოკრატიულ მომავალს. ეს უშუალოდ მისი ხედვა იყო, იგი საქართველოს წაუძღვა რეფორმების ათწლეულზე, იმ რეფორმების, რომლებმაც ქვეყანა რადიკალურად შეცვალა. ეს სწორედ მიხეილ სააკაშვილის თავდადება იყო საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის, რომელმაც ქვეყანაში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების პროცესი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მეშვეობით გახადა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია არჩევნებში დამარცხდა, პრეზიდენტ სააკაშვილმა ქვეყნისადმი აღქმული სიყვარულით მის კონკურენტებს ძალაუფლება მშვიდობიანად გადასცა – იგი ამ პირობას ასრულებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი პრეზიდენტიც იმდენივეს გააკეთებს ქვეყნისათვის, რამდენიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა, – ნათქვამია მიმართვაში.

„საქართველო ამერიკის ვასალი გახდა“

შორენა გონგლაძე

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკის ჰოცესებსა და ხუსეთთან ურთიერთობების დაღაგებაზე ახალი ხელისუფლების განცხადებებზე სერგეი ჩერნიახოვსკი სტატიას აქვეყნებს. ბოლო დღეებში განვითარებული პოლიტიკური ჰოცესებიდან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ ახალმა ჰეზიდენტმა ხუსეთს ულტიმატუმი წაუყენა. ემ.ხუ.-ზე გამოქვეყნებული სტატიაში ჩერნიახოვსკი არაერთხელ ციტირებს ჰეზიდენტ მარგველაშვილის სიტყვებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებითა და საერთაშორისო ტერიტორიული მოლაპარაკებების თაობაზე.

– საქართველოში ხელისუფლების ახალი კონფიგურაცია საბოლოოდ ფორმირებულია. ახალი პრეზიდენტის კვალდაკვალ ქვეყანას უკვე ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. ახლა უკვე დროა, ოფიციალური თბილისი იმაზე დაფიქრდეს, როგორ ააგოს ურთიერთობები რუსეთთან. გასაგებია, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ძალიანაც რომ მიისწრაფვოდეს საქართველოს რუსეთთან შეერთებისკენ, ვერ შეძლებდა ინაუგურაციის დღეს ამის გამოცხადებას, მით უმეტეს, რომ ახლა საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა და მისი პრეზიდენტი ასეთ საკითხებს ვეღარ წყვეტს. ამასთან, ქართველი საზოგადოება რუსეთთან შეერთებისთვის დღეს მზად არ არის, იმის მიუხედავად, რომ ანტირუსული განწყობა, რომელიც სააკაშვილის მიერ იყო კულტივირებული, არასოდეს დომინირებდა მასში, დღეს კი ბევრ რამეში მინიმალიზებულია, მაგრამ ქართველი „ობივატელის“ გარკვეულ ოცნებად რჩება ერთდროული მეგობრობა დასავლეთთანაც და რუსეთთანაც ანუ, ის, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული და, ამასთან ერთად, იმეგობროს ყველასთან და, ყველაფერ ამასთან ერთად, იარსებოს საბჭოთა საზღვრებში დასავლური სტანდარტების გამოყენებით. რა შეიძლება, ითქვას? პოზიცია მშვიდობიანია, მეგობრულია, მაგრამ – არარეალური. როგორც რუსეთის მიმართ საკმაოდ მეგობრულად განწყობილი ქართველები ამბობენ, „ჩვენ დღეს ძალიან შევიცვალეთ და გვინდა, ვიყოთ დამოუკიდებლები“, თუმცა კითხვას, როგორ ესმით დამოუკიდებლობა, რაშია ის ჩადებული, რაში სჭირდებათ, როგორც წესი, ვერ პასუხობენ. როგორც არ უნდა სდომებოდა საქართველოს ახალ პრეზიდენტს, მას არ შეეძლო და ვერც გავიდოდა დომინანტი განწყობის ამ ჩარჩოებიდან. რა თქვა მან რუსეთთან ურთიერთობებზე? – ბუნდოვანი არაფერი: არსებული რთული ვითარების მიუხედავად, ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზადყოფნას, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად, გავაღრმავოთ რუსეთთან დიალოგი, საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებითა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით და გადავჭრათ ეს პრობლემები ურთიერთნდობის საფუძველზე. იგივე შეიძლება ეთქვათ სააკაშვილს, შევარდნაძესა და გამსახურდიას და ამ ნათქვამში არაფერია ახალი, – ამბობს ავტორი და იქვე მიანიშნებს, რომ მარგველაშვილმა ამას თავადვე გაუსვა ხაზი შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ისევ ვაცხადებთ“ ანუ, თავადვე აღიარა, რომ ლაპარაკობს იმას, რასაც მანამდეც ამბობდნენ. აქამდე ნათქვამის რეზულტატად კი მივიღეთ ის, რაც პრეზიდენტის პოსტზე ასულმა პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა: „დღევანდელი რთული ვითარება“. თუკი ეს ვითარებაა რეზულტატი იმისა, რითაც საქართველოს ხელისუფლება ხელმძღვანელობდა ანუ იმით, რასაც ამბობდა, გამოდის, რომ ეს არ არის საკმარისი სიტუაციის გამოსასწორებლად. თუკი ზემოაღნიშნულით აქამდე არ ხელმძღვანელობდნენ, მაშინ არსაიდან ჩანს და ვერ ვივარაუდებთ, რომ იხელმძღვანელებენ ახლა. კიდევ ერთი ციტატა მარგველაშვილისა: „ევროპულ და ევროატლანტიკურ სტურქტურებში ინტეგრაციის პარალელურად მზაობა რუსეთთან დიალოგისა“. ფაქტობრივად, სააკაშვილი ამას ხშირად იმეორებდა, თუმცა უკრაინის პრეზიდენტისგან განსხვავებით, მისი ქართველი კოლეგა არც კი საუბრობს ორივე პოლიტიკური მიმართულების თანაბარ მნიშვნელობაზე. ის მხოლოდ იმაზე საუბრობს, რომ დასავლეთისკენ პრიორიტეტულ სიარულთან ერთად, მზად არის, რუსეთთან რამეზე დაილაპარაკოს. სინამდვილეში, უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთთან ამ დიალოგს ოფიციალური თბილისისგან აშშ და ევროკავშირი ითხოვენ მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ნახევრად კოლონიად გადაქცევისას არ სურთ, საკუთარ თავზე აიღონ რუსეთთან მისი პრობლემები“, – წერს სტატიის ავტორი, რომლის აზრით, დასავლეთში ხვდებიან, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის მოგლეჯილი ნაწილია. ვინაიდან რუსეთი საკუთარ თავს არა ახალ სახელმწიფოდ, არამედ საბჭოთა კავშირის მემკვიდრედ განიხილავს, მაშასადამე, „დასავლურ იმპერიასთან“ საქართველოს ამა თუ იმ ფორმით მიერთება არამეგობრული აქტია, თუნდაც ერქვას ძლიერ დასუსტებული, „აღმოსავლეთ იმპერიასთან“ მიმართებით.

ავტორის თქმით, დასავლეთი ამის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ამის გაკეთება ისე სურს, რომ რუსეთის მხრიდან მაქსიმალურად თავშეკავებული რეაქცია მიიღოს. საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული პოზიცია თითქმის ისეთივეა, როგორიც, სიტყვაზე, 1975 წელს კომპარტიის პირველი მდივნის რანგში იმავე შევარდნაძეს რომ ეთქვა: „როგორც მოკავშირე რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილი, სრულიად მხარს ვუჭერთ მის ბრძოლას მსოფლიოში მშვიდობისთვის და მზად ვართ, გავაღრმავოთ დიალოგი ყველა ქვეყანასთან, მათ შორის დ აშშ-სთანაც. ამ ფორმატში მარგველაშვილის სიტყვები, არსობრივად, მხოლოდ ერთს ნიშნავს, რომ საქართველოს სურს, გახდეს რუსეთის კონკურენტის „ვასალი“, მაგრამ ეს გააკეთოს ისე, რომ რუსეთი დაარწმუნოს, თითქოს ის დარჩება დამოუკიდებელ და მისთვის მეგობრულ ქვეყნად, – აღნიშნავს სერგეი ჩერნიახოვსკი. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისთვის „გასაგებია, რომ ქვეყნებს შორის ნებისმიერი ნორმალური ურთიერთობა ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პატივისცემით მიმდინარეობს, ასევე ის, რომ ამ განცხადებებში მარგველაშვილს მხედველობაში აქვს საქართველოს განუყოფელი ნაწილების, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლად აღიარება, მაგრამ მაშინ რუსეთთან დიალოგის შესახებ მისი სიტყვები შეიძლება აღვიქვათ არა როგორც სურვილი, გააუმჯობესოს მასთან ურთიერთობა, არამედ, როგორც განზრახვა, მოითხოვოს მისგან ზემოთ ხსენებული ორი რესპუბლიკის დაბრუნება ანუ რუსეთს სთავაზობენ, საუკეთესო შემთხვევაში, ურთიერთობის გაუმჯობესების პირობას, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებაზე უარის თქმისა და, ამასთან ერთად, რუსეთის კონკურენტების კოალიციასთან მიერთებისთვის თანხმობის სანაცვლოდ. ეს იგივეა, რაც, სიტყვაზე, გერმანიას განეცხადებინა რუსეთისთვის: „დაგვიბრუნეთ აღმოსავლეთი პრუსია, სანაცვლოდ კი ჩვენ თქვენთან ვიმეგობრებთ და თან დავრჩებით ამერიკის მოკავშირე და ნატოს წევრებიო. გასაგებია, რომ მარგველაშვილს არ შეეძლო, საკუთარი თავისთვის უფლება მიეცა, ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ მისგან ამას არც არავინ ითხოვდა. იაპონია ნახევარი საუკუნე ამტკიცებს, რომ არ აღიარებს სამხრეთი კურილების რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას, თუმცა, ამასთანავე, მშვიდად აქვს მეგობრული ურთიერთობა, აღწევს შეთანხმებებს ისე, რომ ტერიტორიის მისთვის დაბრუნების ულტიმატუმებს არ აყენებს. ალბათ, იმიტომ, რომ ხვდება, დამბრუნებელი არავინაა“ დ წერს სერგეი ჩერნიახოვსკი. რუსეთისთვის წაყენებულ ულტიმატუმს ავტორი პრეზიდენტის იმ განცხადებაში კითხულობს, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პატივისცემას“ ეხება. მარგველაშვილმა, უნდოდა თუ არა, არსობრივად, რუსეთს ულტიმატუმი წაუყენა და მას ფორმალურად საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პატივისცემა უწოდა. რა თქმა უნდა, საზღვრების საერთაშორისო აღიარება არის საზღვრების საერთაშორისო აღიარება, თუმცა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებიც საერთაშორისოდ აღიარებულია იმ ქვეყნების მიერ, რომლებმაც მათი დამოუკიდებლობა ცნეს. თუკი აშშ და მისი მოკავშირეები საერთაშორისო დონეზე აღიარებენ საქართველოს საზღვრებს, რუსეთი კი – სხვებს, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას საკუთარ პოზიციაზე. მათ აღიარებებს შორის კი განსხვავება ის არის, რომ რუსეთს მის მიერ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა შეუძლია, აშშ-ს კი – არა. აი, რუსეთს შეუძლია, მაგალითად, ქართველი ჯარისკაცები დასახელებული ორი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შეუშვას, ამერიკას კი მსგავსი რამის გაკეთება არ შეუძლია. ეს არის იმის კრიტერიუმი, რომელი აღიარებაა უფრო მნიშვნელოვანი. ქართულმა ელიტამ და მისმა საზოგადოებრივმა აზრმა უნდა გაიგონ, რომ აშშ რუსეთთან აფხაზეთის და შეიძლება, ითქვას, მთლიანად საქართველოს გამო არ იომებს, რადგანაც ჯერ ეს არ შეუძლია, რუსეთი კი საქართველოსთან არ იომებს, იმიტომ, რომ არ უნდა ან ხვდება, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა და ხალხი, ერთია, ხოლო მისი ხელმძღვანელობა მეორე და სხვა წერს ჩერნიახოვსკი. ამასთან, მისივე თქმით, „თუკი საქმე საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე მიდგა, მაშინ 1975 წელს ჰელსინკის კრებამ შემაჯამებელ აქტში აღიარა იმ მომენტისთვის შექმნილი საზღვრების ხელშეუხებლობა ანუ მათ შორის საბჭოთა კავშირის საზღვრები. თუ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების პატივისცემაა, იყოს პატივისცემა, მით უმეტეს, რომ საქართველო იმ საზღვრებში, რომლის აღდგენის საკითხსაც ქვეყანა დღეს უბრუნდება, არსებობდა, მხოლოდ როგორც საქართველოს სსრ. დამოუკიდებლობა – ეს ძალიან კარგია, მაგრამ სინამდვილეში ეს დიდი კითხვაა, როდის და სად ჰქონდა საქართველოს უფრო მეტი დამოუკიდებლობა – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სუვერენული რესპუბლიკის რანგში თუ როდესაც ის ამერიკის ვასალი გახდა. აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს საქართველოს მთავრობა, – ასკვნის სერგეი ჩერნიახოვსკი.

როგორია კულტურა ციფრებში?

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ერთწლიანი მუშაობა შეაჯამა. მთავარი პრიორიტეტების ნაწილი „ახალმა თაობამ“ წინა შაბათის ნომერში შემოგთავაზათ, ამჯერად კი ვაგრძელებთ მთავარი კულტურული უწყების უმნიშვნელოვანესი საკითხების წარმოდგენას:

ესტონეთში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და ესტონეთის კულტურის მინისტრმა რეინ ლანგმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის 2013-2016 წლებში კულტურული თანამშრომლობის შესახებ პროგრამას. პროგრამა ითვალისწინებს ესტონეთის გამოცდილების გაზიარებას ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში და ასევე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას კულტურის სხვადასხვა სფეროში. ასევე ხელი მოეწერა მემორანდუმს ორი ქვეყნის კულტურის სამინისტროებს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების რეაბილიტაციის სფეროსაც გულისხმობს. თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის ომერ ჩელიქის მოწვევით მინისტრმა მონაწილეობა მიიღო აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონგრესზე სტამბოლში. მინისტრი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო კონგრესზე თემით „ვიფიქროთ ვაჭრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის რეგიონზე“; ასევე, კოლეგებს შორის გაიმართა შეხვედრა ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით და თანამშრომლობა კულტურის სხვა სფეროებში. გურამ ოდიშარია ბაქოში სიტყვით გამოვიდა კულტურათაშორისი დიალოგის მე-2 მსოფლიო ფორუმზე, რომელშიც მონაწილეობა 30-მდე ქვეყნის კულტურის მინისტრმა მიიღო. ფორუმის მთავარი თემა იყო „ვიცხოვროთ ერთად და მშვიდობიანად მრავალფეროვან მსოფლიოში“.

წელს ქართული ლიტერატურა წარმოდგენილი იყო მსოფლიო ბაზარზე: წელს პირველად, გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემია ქართველმა ავტორებმა თამთა მელაშვილმა და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა აიღეს. ავტორები მცირეროვანისთვის „გათვლა“ პირველ ადგილზე გავიდნენ კონკურსში ნომინაციით „წლის საუკეთესო საყმაწვილო ლიტერატურა“ და გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდნენ. სამინისტროს ინიციატივით გამოიცა კატალოგი „სომეხი მხატვრები საქართველოში – ჰაკობ ჰოვნათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე“. კატალოგში წარმოდგენილია საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ცნობილი სომეხი მხატვრების ბაიახჩევის, ფარაჯანოვის, ღარსლიანის, სარიანის და სხვათა, როგორც ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ასევე თეატრისა და კინოს მხატვრობა. სამინისტროს ეგიდით მოეწყო კორეელების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სამხრეთ კორეელი თანამედროვე მხატვრების სხვადასხვა თემატიკაზე შესრულებული 60-ზე მეტი ნამუშევარი. „აზერბაიჯანული კინოს დღეები საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა ელდარ შენგელაიასა და ბაქოელ სტუმრებთან შეხვედრები. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება. ექსპოზიციაზე „აზერბაიჯანული კულტურა საქართველოში“ წარმოდგენილი იყო საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული ექსპონატები: აფიშები, ხელნაწერები, ფერწერული ტილოები, აზერბაიჯანული თეატრის უნიკალური ფოტოები და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ექსპონატი, რომელიც აზერბაიჯანული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ქართული კულტურა ასევე წარმოდგენილი იყო 9 საერთაშორისო ფორუმზე. ქართულმა თეატრალურმა დასებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში. ედინბურგის 67-ე საერთაშორისო ფესტივალზე საქართველო წარდგა ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამისა და მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრებით. ესტონეთში, კუნძულ საარემაზე „საარემაას ოპერის დღეებში“ საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგა სამი ოპერის თეატრით: ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრით, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრით და ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრით. ოდესაში ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი მონაწილეობდა მე-8 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „შეხვედრები ოდესაში“. ეს თეატრი პეტერბურგში ჩაერთო საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „შეხვედრები რუსეთში“. ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდულმა კავშირმა დიდ ბრიტანეთში მონაწილეობა მიიღო სცენოგრაფიის, თეატრის არქიტექტურის, ტექნოლოგიისა და თეორიის საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონგრესში. ჩრდილების სახელმწიფო თეატრი წარმოდგენილი იყო ქალაქ ჯაკარტასა და ბალიში იუნესკოსა და ინდონეზიის მეთოჯინეთა ასოციაციის ფესტივალზე. იალტაში თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრმა ინგლისელი დრამატურგის სარა კეინის პიესით „ფსიქოზი 4:48“ მონაწილეობა მიიღო „იალტის ჩეხოვის მე-6 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში“. ეს თეატრი ვილნიუსში სპექტაკლით „მაკბეტი“ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ჩაერთო. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა თურქეთის ქალაქ ანკარაში გამართულ თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე რეჟისორ რუსუდან ბოლქვაძის სპექტაკლით „ზვავი“ წარადგინა ქართული კულტურა.

რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნების კულტურის დღეებს საქართველოში, საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით, ჩინურმა თეატრმა „გიანსუ“ მოაწყო საღამო და წარმოადგინა ჩინეთის თანამედროვე ხელოვნების გამოფენა „მრავალფეროვანი აბრეშუმის გზა“. საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლის იუბილე აღინიშნა პერფორმანსით „ოსმალეთის იმპერიიდან თურქეთის რესპუბლიკამდე“, წარმოდგენილი იყო დერვიშების ცეკვა, კლასიკური მუსიკის საღამო და თანამედროვე თურქი მხატვრის აჰმეთ იეშილის ნახატების გამოფენა „ვიზუალური შეხება“. ასევე ჩატარდა ქართული კულტურის დღეები საზღვარგარეთაც. პირველად მოეწყო ქართული კულტურის დღეები ჩინეთში ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტით, ქართული კერამიკისა და ღვინის ჭურჭლის გამოფენით. თანამედროვე ქართული ხელოვნება მასშტაბურად იქნა წარმოდგენილი ვილნიუსში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დაწყებამდე და პარალელურად მოეწყო ქუთაისის მუზეუმში არსებული ძვ. წ. I ათასწლეულის ვერცხლისა და ბრინჯაოს ექსპონატების გამოფენა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის საგანძურიდან, ქართველ მხატვართა ჯგუფური ექსპოზიცია, თვითნასწავლი ფოტოგრაფის, შალვა ალხანაიძის ნამუშევრების გამოფენა, საქართველო-ესტონეთის ახალი, ერთობლივი ნამუშევრის „მანდარინები“ და სხვა ქართული ფილმების ჩვენება.

საქართველოში ტარდება სამი საერთაშორისო კინოფესტივალი: თბილისის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალს წარმოადგენს კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“, სადაც წელს ნაჩვენები იქნება 100-ზე მეტი მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმი. ასევე ქართული ფილმი კინოკლასიკებს შორის. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი ბიაფი – ბათუმის საავტორო ფილმების რიგით მერვე საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც შეირჩა ორმოცი სრულმეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ორმოცი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. სინედოკ თბილისი კავკასიაში პირველი საერთაშორისო ფართომასშტაბიანი დოკუმენტური ფილმების ფესტივალია, იგი მოიცავს მასტერკლასებს, ვორქშოფის სესიებს, კონფერენციებს და საბავშვო სექციას. ქართული ფილმების საზღვარგარეთ წარდგენისთვის სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა: ლონდონში მოეწყო ქართული ფილმების რიგით მე-3 ფესტივალი „კინოში ასახული ცხოვრება“. ლონდონის ისტ-ენდში ქართველი მუსიკოსების მიერ ცოცხალი მუსიკის თანხლებით ნაჩვენები იქნა ქართული უხმო კინოს შედევრი „ჩემი ბებია“. ქართველი რეჟისორის თინათინ გურჩიანის დოკუმენტურმა ფილმმა სანდენსის კინოფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა. კინოფილმმა „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ პირველი ადგილი საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის რეჟისურისთვის აიღო. ქართველმა რეჟისორებმა ალექსანდრე კვატაშიძემ, ნინო გოგუამ და რუსუდან პირველმა ლოკარნოს 66-ე კინოფესტივალზე გაიმარჯვეს. ალექსანდრე კვატაშიძის ფილმმა „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“, ნინო გოგუას ნამუშევარმა „მადონა“ და რუსუდან პირველის კინოფილმმა „ძილის გაკვეთილები“ ამ ფესტივალზე ოთხი პრიზი მოიპოვა. საერთაშორისო აღიარება და მზადებაა „ოსკარისთვის“ „გრძელი ნათელი დღეებით“. ეს ფილმი ოსკარზე წარდგენილი 2014 წლის კანდიდატია საქართველოდან, რომელსაც ქვეყანა ამერიკის კინოაკადემიის წინაშე უცხოენოვანი ფილმის კატეგორიისთვის წარადგენს. სამინისტროში ოსკარისთვის მზადება და ამერიკის შეერთებულ შტატებში პიარკამპანიის დაგეგმვა მიმდინარეობს.

კულტურის სამინისტროს პრიორიტეტის მიხედვით ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტმა ხელი შეუწყო ქართული კინოს, თეატრის, პროფესიული მუსიკალური ხელოვნების, წიგნისა და ლიტერატურის, ხალხური რეწვის, სახვითი ხელოვნებისა და სახელოვნებო განათლების განვითარებას დედაქალაქსა და რეგიონებში. ასევე, კულტურის სამინისტრო ზრუნავს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებაზე. სამინისტრო ყოველწლიურად აფინანსებს 4 სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის 43 სტუდენტს. 10 განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან უფასოდ იღებს განათლებას. 16 სტუდენტი ფინანსდება და განათლებას იღებს უცხოეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში. წელს პირველად თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინო-ტელეფაკულტეტი აღიჭურვა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით. სარემონტო სამუშაოები დასრულდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის II კორპუსში. შედეგად: თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა შეიძინა ქართული კინოსა და ტელევიზიის განვითარებისთვის მეტად აუცილებელი, მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტებით აღჭურვილი ბაზა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა 3 პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ: დაარსდა ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული საინფორმაციო კომპიუტერული მეგა-თამაში „ერთიანი საქართველო“. აღორძინდა აზერბაიჯანული გობელენებისა და ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგია ქვემო ქართლის რეგიონში აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში; შეიქმნა შემსწავლელი წრეები. აღინიშნა პოლონეთის დღეები, საქართველოს ესტუმრა ჩრდილოეთ კავკასიის პოლონური დიასპორის ხელმძღვანელი ვერონიკა ზელენსკაია. ეროვნულ უმცირესობებს აქვთ 4 გაზეთი კულტურის სამინისტროსგან: „ვრასტანი“ (სომხეთი), „გურჯისტანი“ (აზერბაიჯანი), „სვაბოდნაია გრუზია“ (რუსეთი), „ვეჩერნი ტბილისი“ (რუსეთი). ასევე 3 წიგნი: ოსი მწერლის და საზოგადო მოღვაწის გიორგი ძაგაევის ლექსების ორენოვანი (ქართულ-ოსური) კრებული. ქართულ ენაზე თარგმნილი ცნობილი სომეხი მწერლის გაგიკ დავთიანის ნაწარმოებების კრებული. ქართულ ენაზე თარგმნილი კრებული „რუსული პოეზია“, სადაც შესულია ახმატოვას, ცვეტაევას, პასტერნაკის, ბროდსკის ნაწარმოებები. სამინისტროს ეგიდით მოეწყო ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობების ამსახველი გამოფენა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

კინოხელოვნების ხელშეწყობის ფარგლებში დაიგეგმა 5 კინოპროექტი: მხატვრულ-დოკუმეტური ფილმი „შინდისის გმირები“, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები“, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“, დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი „ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა“. 5 კინოფესტივალი: საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს პეპელა“, საერთაშორისო კინოფესტივალი „ამირანი“, ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, კინოხელოვნების ცენტრ „პრომეთესთან“ ერთად, ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექოთოფუზი“ რეგიონებში. პროექტით „ჩვენ ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვასურათებთ „ვეფხისტყაოსანს“ ბავშვები საქართველოს ყველა რეგიონიდან კითხულობენ და ასურათებენ „ვეფხისტყაოსანს“. შედეგად შეიქმნება ანიმაციური ფილმი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე. ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობის მხრივ, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს „ახალი სცენა“ აქვს, ამოქმედდა კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“, დაინიშნა 28 პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. განახლდა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“. ტარდება თბილისის თეატრალური საერთაშორისო ფესტივალი. ახალგაზრდა რეჟისორების მხარდაჭერის კუთხით კულტურის სამინისტროს დაწესებული აქვს პრემია „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორისთვის“ თეატრალური ფესტივალის „დურუჯი“ ფარგლებში. გაიმართა 10 ახალი წარმოდგენა თბილისსა და საქართველოს რეგიონების პროფესიულ თეატრებში. დაიგეგმა 3 თეატრის საგასტროლო ტურნე სხვადასხვა რეგიონში. გათამაშდა სპექტაკლები საოკუპაციო ზონის მიმდებარე სოფლებში დვანსა და დიცში. ცხინვალის სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერის პროგრამით ტარდება პერმანენტული წარმოდგენები, ახალი სპექტაკლები, საქართველოს მოქმედო გასტროლები შიდა ქართლიდან იძულებით გადაადგილებულთა დასახლებებში. გურამ ოდიშარიას უწყებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 3 საიუბილეო და 1 აუდიოკრებულის გამოცემაში: ქართველი დრამატურგის გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილესადმი მიძღვნილი უნიკალური საარქივო მასალების კატალოგი, რობერტ სტურუას დაბადებიდან 75 წელთან დაკავშირებით გამოიცემა წიგნი „მაესტრო რობერტ სტურუა“, თემურ ჩხეიძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცემა წიგნი რეჟისორის შემოქმედების შესახებ, მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის აუდიოკრებულის ორდისკიანი კომპლექტი. ლაშა ბუღაძის პიესის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ პრემიერა ლონდონის „როიალ ქორთ თეატრში“ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. მოეწყო რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლის „სათამაშო პისტოლეტი“ საგასტროლო ჩვენება ჩელსის თეატრში.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ქალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"**. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 სერ. **"ქქიმი კაუსი"**. 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 ქართული კინოს ვარსკვლავები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.15 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ **"ღითელი ბუშტი"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.00 კონცერტი - ხათუნა კოკოჩაშვილი 16.55 კვირიაკე 18.10 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "მეფე და არა დედოფალი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.50, 23.00 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ხუთშაბათი 28 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა"

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ **"დედა წყვდიადი"** (ნ.ნოლტი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ამსტერდამი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 01.00 მხ/ფ **"ბორბოტების სავანე – 3"** (მ.იოვოვიჩი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ქალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 00.00 სერ. **"ქქიმი კაუსი"**. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 საგალობელი

06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 ქართული კინოს ვარსკვლავები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.45 ლექსით ქებათა ქება 11.20 ეთნოგრაფია 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "სარფი მოლენი" 16.30 კონცერტი -გია ყანჩელი 18.10 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"როგორ ვიცხოვრო უფენოდ"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 22.25 დოკ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ზღვარზე" გად. VI 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.50, 23.00 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

პარასკევი 29 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა"

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"გრაფი მონტე -კრისტო"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.05 "შეხვედრები მცხეთაში" 20.50 თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"კონფლიქტის ზონა"** 01.20 მხ/ფ **"მკვლელი ნინძა"**

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ფულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 01.00 მხ/ფ **"მეღვიძდეს ესტრადას სავი დასაფლავება"** (ტ.ლი ჯონსი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ქალა"** 11.00 სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 ქართული კინოს ვარსკვლავები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" 10.50 "ზღვარზე" გად. VI 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.10 მხ/ფ **"მოცურავე"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.50 კონცერტი -ანს."გორდელა" 17.05 კვირიაკე 18.10 აქტუალური თემა 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"როგორ ვიცხოვრო უფენოდ"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "გარდამოხსნა" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

შაბათი 30 ნოემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00 საბ/ფ. **"ფიქრები თავისუფლებაზე"** 10.30 საბ. ან/სერ. **"დაქ დოჯერსი"** 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 კონცერტი: "შემოდგომის თბილისი" 14.00 ფეხბურთი **"დილა"** /გორი/ - **"ტორპედო"** /ქუთაისი/ (პ/ტრ) 16.30 "გურმანია" 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 19.00 "ეტალონი" 20.30 "ევროვიზიის დღიური" 21.00 საბავშვო ევროვიზია (პ/ტრ) 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"ნაპირზე"**

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (პარ. გ/ჩ) 12.00 მხ/ფ **"ყველანი ცისკენ"** 14.00 მხ/ფ **"თაღლითი სამოთხეში"** 17.00 მხ/ფ **"დაჯავშნას არ საჭიროებს"** (კ.ზეტა-ჯონსი) 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ **"ბორსალინო და კომპანია"** (ა.დელონი) 22.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 23.00 მხ/ფ **"ბონი და კლაიდი"** (ფ.დანაუეი)

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ **"წითელქუდა"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13.00 მისია სტუდენტი 14.30 ახალი ქართული ხმა 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ **"უკვდავები"** (უ.ჰარტი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი. (გ/ჩ) 11.00 იღბლიანი ბორბალი. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"რობორ ვიცხოვრო უფენოდ"** 13.20 დოკ/ფ "გარდამოხსნა" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ვერდი **"რეკვიემი"** - ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრი (დირ. რიკარდო მუტი) 16.45 მხ/ფ **"ლომა"** 18.10 საქართველოს ქალაქები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.30 დოკ/ფ "დიმიტრი შევარდნაძე" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩრაღდნები"**

მაესტრო 7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

კვირა 1 დეკემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ/ფ **"ოქრის კომპასი"** 10.00 "ეტალონი" 11.00 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქარ. მხ/ფ **"ამბავი სურაბის ციხისა"** 16.30 დ/ფ "ფოტო" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 მხ/ფ **"ოშშენის 13 მეგობარი"** (ჯ.კლუნი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "დოკუმენტალისტიკა" – ფილმი ფილმზე: "ქრისტინე" 22.00 სპექტაკლი: **"ზაფხულის ღამის სიზმარი"** 00.30 მხ/ფ **"ძალაუფლება"**

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ვარშავა" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩ) 10.00 მხ/ფ **"ბანზაი"** 11.30 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ქაირო" 12.20 მხ/ფ **"ნავთობის პრინცი"** 14.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 16.00 დ/ფ "ეფელი" 17.00 მხ/ფ **"მისის სოფელი"** (მ.გიბსონი) 19.00 დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" 19.45 მხ/ფ **"სრულყოფილი სამყარო"** 22.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 23.00 მხ/ფ **"ყველასათვის ჩემპიონი"** (ჯ.ლენგი)

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ **"ფარსკვლავის დაბადება"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ **"გარიგება"** 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 კვირის ანალიტიკური გადაცემა 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 00.00 მხ/ფ **"მანქიერი ვნება"** (ს.სარანდონი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 21.00P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30 სიახლენი 10.45 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"ლომა"** 13.20 გამოყენებითი ხელოვნება 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.15 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები. 19.30 მხ/ფ **"ზეზე შეჭიდგომისა"** 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.40 მხ/ფ **"საბრინა"**

მაესტრო 7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30, 0.00 "მონიტორი/ ჟურნალისტური გამოძიება 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

უკრაინა — ევროკავშირი: ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოხდება?

რუსეთის უკრაინის დაშლა სურს, — თვლიან ექსპერტები

– უკრაინის მთავრობამ ევროკავშირთან ხელშეკრულების რატიფიკაციის სამზადისი შეაჩერა, – იტყობინება – რადიო „თავისუფლება“, – აღნიშნულმა ინფორმაციამ გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია.

უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულების რატიფიცირება ვილნიუსის სამიტზე იყო დაგეგმილი, თუმცა უკანასკნელ ხანს ვითარება დაიძაბა. კრემლმა უკრაინაზე ზეწოლა გააძლიერა, ხოლო ოფიციალური კიევი ამას მოუმზადებელი შეხვდა. იანუკოვიჩმა როგორც რუსეთთან, ისე ევროკავშირთან ვაჭრობა დაიწყო. უკრაინის პრეზიდენტმა ჯერ საგარეო ვალების ჩამოჭრა მოითხოვა, შემდეგ განაცხადა, რუსული ბაზრის დაკარგვამ ჩვენს ქვეყანას უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენა და ამას კომპენსაცია სჭირდებაო.

– იანუკოვიჩმა 10 მილიარდი დოლარი მოითხოვა, – აღნიშნავს რადიო „თავისუფლება“.

პარალელურად უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთის მიმართულებითაც გააქტიურა მუშაობა. პუტინთან საუბარში იანუკოვიჩმა განაცხადა: უკრაინა მზადაა, ევროინტეგრაცია შეაჩეროს, მაგრამ რუსეთმაც ჩვენზე ზეწოლა უნდა შეწყვიტოს და ე.წ. საბაჟო კავშირში ჩვენს ჩათრევაზე უარი განაცხადოსო. უკრაინის პარლამენტის დეპუტატ ბალოგას ცნობით, პუტინმა ევროპისაგან განსხვავებით, სიძუნწე არ გამოიჩინა და დათანხმდა, უკრაინელებისათვის 10 მილიარდი გადაეხადა, ოღონდ ისინი დსთ-ის „საბაჟო კავშირში“ უნდა შესულიყვნენ.

– იანუკოვიჩს დღეს ფული ძალიან სჭირდება, ჩვენი ქვეყნის ხაზინა ხომ ცარიელია, – განაცხადა ბალოგამ.

ამრიგად, რუსეთის პოზიცია უცვლელი იყო: უკრაინა დსთ-ის „საბაჟო კავშირის“ წევრი უნდა გახდეს! იანუკოვიჩი და პრეზიდენტი აზაროვი ამაოდ ცდილობდნენ, კრემლის პოზიცია შეერბილებინათ. აზაროვის სიტყვებზე, ჩვენი პარლამენტი „საბაჟო კავშირში“ შესვლას არ დათანხმდებაო, პუტინმა მიუგო:

– ზოგჯერ ქვეყნის ინტერესებისათვის დემოკრატიის შეზღუდვა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაა აუცილებელი.

იანუკოვიჩმა რუსეთის პრეზიდენტის პოზიციის მხოლოდ ნაწილი გაიზიარა. ის ევროინტეგრაციის დროებით შეჩერებაზე დათანხმდა, თუმცა რეპრესიებსა თუ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე არ წავიდა. ამრიგად, ვაჭრობა ახალ ფაზაში გადავიდა, რამაც ტიმოშენკოს პრობლემის გადაჭრაზეც იმოქმედა.

– ტიმოშენკოს შეწყალება ან რეაბილიტაცია არ მოხდება. ექსპრემიერი დასავლეთში მხოლოდ პატიმრის სტატუსით შეიძლება გაემგზავროს, მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ კი კვლავ ციხეში დაბრუნდეს, – ასეთი იყო მმართველი რეგიონების პარტიის პოზიცია. ბოლოს ოპონენტები ამაზე შეთანხმდნენ:

– ჩვენ ნებისმიერ ვარიანტზე ვართ თანახმა, ოღონდაც ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწეროს, – განაცხადა პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა.

21 ნოემბრის საპარლამენტო სესია ფრიად ბობოქრად წარიმართა. კენჭისყრაზე ტიმოშენკოსთან დაკავშირებული ექვსივე კანონპროექტი დააყენეს. პარლამენტმა არც ერთ მათგანს მხარი არ დაუჭირა.

– რეგიონალებმა და კომუნისტებმა, უბრალოდ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ოპოზიცია თავის აღშფოთებას ხმამაღლა გამოხატავდა. გაისმოდა სკანდირება: „სირცხვილი! სირცხვილი!“ ვნებათაღელვა მას შემდეგ გამძაფრდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია ევროინტეგრაციული კურსის შეჩერების შესახებ. მალე რეგიონების პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ პრეზიდენტს განცხადებით მიმართა და ვილნიუსში უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების გადადება მოითხოვა.

– ჩვენ ევროინტეგრაციის მომხრენი ვიყავით და ამ პოზიციაზე ვრჩებით, მაგრამ ამ ეტაპზე ხელშეკრულების რატიფიცირება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ჩერდება ქარხნები, ფაბრიკები, იქმნება კატასტროფული ვითარება, – ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ხელშეკრულების რატიფიცირების შეჩერების შესახებ გამოაცხადა არა პრეზიდენტმა, არამედ პრემიერმა, თუმცა, თანახმად უკრაინის კონსტიტუციისა, ქვეყნის საგარეო კურსს სწორედ პრეზიდენტი განსაზღვრავს. ვენაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა იანუკოვიჩმა საჯაროდ აღნიშნა, რომ ევროინტეგრაციას ალტერნატივა არა აქვს. უკრაინელმა პატრიოტებმა იანუკოვიჩი კრემლთან გარიგებაში დაადანაშაულეს და მისი იმპიჩმენტი მოითხოვეს, ევროკომისარმა ფიოლემ კი კიევში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა.

– მოთამაშე პოლიტიკოსთან დიალოგი უაზრობაა, – განაცხადა ფიოლემ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საგანგებო განცხადება გავრცელა და აღნიშნა, რომ უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია. იანუკოვიჩით კრემლი და მისი უკრაინული აგენტურაც უკმაყოფილონი იყვნენ. მართალია, რუსეთის დუმა უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებას მიესალმა, მაგრამ ოფიციალური მოსკოვი უფრო აქტიურ მოქმედებას მოითხოვს.

– უდავოა, რომ მომხდარის შემდეგ უკრაინელი ნაციონალისტები გააქტიურდებიან. ამას დროული და საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. არ მესმის, უკრაინის ხელისუფლება რად ყოყმანობს? – ეს სიტყვები პრემიერ მედვედევს ეკუთვნის.

კრემლის რუპორმა უკრაინელმა დეპუტატმა ცარკოვმა პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ აშშ ახალ ფერად რევოლუციას ამზადებს და მოითხოვა, რათა უკრაინის პარლამენტს ამერიკის ძირგამომთხრელი საქმიანობა დაეგმო. მის სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქცია.

– იანუკოვიჩი თამაშს განაგრძობს, ეს მისთვისაც და ქვეყნისთვისაც ცუდად დამთავრდება, – განაცხადა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში კრემლთან დაახლოებულმა რუსმა ექსპერტმა მარკოვმა.

მოსახლეობაში კი საპროტესტო ტალღა იზრდებოდა. უკვე 21 ნოემბერს საღამოს კიევის ქუჩებში საპროტესტო აქციები გაიმართა. სტიქიურად შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართეს ვიტალი კლიჩკომ, ოლეგ ტიაგნიბოკმა, არსენი იაცენიუკმა.

– გამოდით ქუჩაში! ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული! – ასეთი მოწოდებით მიმართა მოსახლეობას კლიჩკომ.

22 ნოემბერს საპროტესტო აქციები უკრაინის სხვა ქალაქებშიც მოეწყო. თუკი ლვოვში ან ივანო-ფრანკოვსკში პროტესტს ყველა მოეწონა, საკმაოდ მოულოდნელი იყო დონეცკის მოსახლეობის რეაქცია. იქ პროტესტანტების რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ლვოვში ან კიევში.

– დონეცკში პროტესტანტების რიცხვმა 2 ათასს გადააჭარბა, მაშინ როცა კიევში ან ლვოვში მანიფესტანტების რაოდენობა ათასს არ აღემატებოდა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ ოპოზიცია ყველაფერს იღონებს, რათა პრო-დასავლური არჩევანი დაიცვას. ოპოზიციის მეორე ლიდერმა ლუცენკომ რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს განუცხადა:

– ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. დღეს უკრაინაში კორუმპირებული კლანურ-ოლიგარქიული რეჟიმია გაბატონებული. იანუკოვიჩის გადაწყვეტილება მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს და ამ რეჟიმისაგან გათავისუფლების რეალურ პერსპექტივებს ქმნის.

ფრიად ბობოქრად წარიმართა პარლამენტის 22 ნოემბრის სხდომაც. როგორც კი რადაში პრემიერი აზაროვი გამოჩნდა, ოპოზიციონერები ფეხზე წამოხტნენ და დაიწყეს სკანდირება: „ძირს! ძირს“. სპიკერი რიბაკიც იძულებული გახდა, სხდომა დაეხურა.

– სესია 3 დეკემბერს განახლდება, – განაცხადა რიბაკმა.

როგორც ჩანს, აზაროვზე ამ სცენამ ძალიან იმოქმედა, რადგანაც „ინტერის“ კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა:

– ვილნიუსში ხელშეკრულების რატიფიცირების შეჩერება მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯია! ის შექმნილი ეკონომიკური ვითარებითაა ნაკარნახევი. ევროპასთან დაახლოება ჩვენი მიზანი იყო, არის და იქნება!

ოპოზიცია კი არ ცხრებოდა და პრეზიდენტის იმპიჩმენტსა და მთავრობის გადაყენებას მოითხოვდა. ისინი აცხადებენ, რომ 24 ნოემბერს კიევში მასობრივი საპროტესტო აქციის ჩატარებას გეგმავენ.

„ვნახოთ, რამდენი ხალხი გამოვა! თუკი მომიტინგეთა ოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა, უკვე დღეს იანუკოვიჩის გადაყენებასა და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოვითხოვთ, – განაცხადა კლიჩკომ.

უკანასკნელი მონაცემებით, მოსახლეობის 69 პროცენტო ევროინტეგრაციას მხარს უჭერს. ექსპერტებიც ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ თავისი გადაწყვეტილებით იანუკოვიჩმა ხალხის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა და საკუთარი პოლიტიკური კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

– რასაკვირველია, ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება, პირიქით, გაუარესდება, – თვლის პოლიტოლოგი ტარას ბერეზინეცი, – მოსახლეობის საპროტესტო განწყობილებებიც გაიზრდება და იანუკოვიჩის ხელისუფლებაში დარჩენაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუმცა, ისმის კითხვა, რა დაუჯდება ეს უკრაინას?

ექსპერტები თვლიან, რომ უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულების რატიფიცირების შეჩერება კრემლის გეგმის მხოლოდ ნაწილია. მოსკოვის საბოლოო მიზანი კი უკრაინის რამდენიმე ნაწილად დაშლაა. პოლიტოლოგ ვადიმ კარასიოვის აზრით, რუსეთი რევოლუციურ სიტუაციას სპეციალურად ქმნის, რათა ყოველივე უკრაინის დაშლით დასრულდეს.

– რევოლუცია ლამაზი სიტყვაა. უბრალო ენაზე ეს ხელისუფლებისა და ქონების ძალადობის გზით გადანაწილებას ნიშნავს. თუკი კრემლმა მოვლენების ამ სცენარით განვითარებას მიაღწია, გამორიცხული არ არის, ეს ჩვენი ქვეყნის დაშლით დამთავრდეს, – ამბობს კარასიოვი.

მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარებას, სამწუხაროდ, ხელს კატასტროფული სოციალური ფონიც უწყობს. უმუშევრობამ უკვე 400 000 მიაღწია. ამას ემატება კორუფცია, კლანების თარეში, უკანონობა. მოსახლეობის განწყობაც შესაბამისია. როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემებით, ხალხი დღეს ბევრად უფრო აგრესიულადაა განწყობილი, ვიდრე ეს ნარინჯისფერი რევოლუციის წინ იყო. უკმაყოფილოთა რიცხვმა 84 პროცენტს მიაღწია. აქედან 62 პროცენტი მზადაა, ქუჩაში გამოვიდეს და აუცილებლობის შემთხვევაში იარაღსაც მოჰკიდოს ხელი. საგანგაშოა ისიც, რომ უკანასკნელ ხანს ძალზე გახშირდა როგორც მილიციელებზე, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებზე თავდასხმა.

– თუკი დღევანდელი კრიზისი რევოლუციაში გადაიზარდა, საეჭვოა, რომ ყოველივე მშვიდობიანად დამთავრდეს. ამან შესაძლოა დამღუპველი შედეგები იქონიოს. ამიტომ ყველაზე ოპტიმალური სცენარი მოვლენების მშვიდობიანი, ევოლუციური სცენარით განვითარებაა. თუკი ეს მოხერხდა, უკრაინის ერთიანობასაც შევინარჩუნებთ და ევროპასაც დავუახლოვდებით, – თვლის პოლიტოლოგი ფისენკო.

უკრაინაში შექმნილი ვითარება ბევრს 1918 წელს აგონებს, როცა ჰეტმანმა სკოროპადსკიმ დამოუკიდებლობის დაცვა უპერსპექტივოდ მიიჩნია და რუსეთთან გაერთიანება მოითხოვა. პასუხად ხალხი ქუჩაში გამოვიდა, რაც რევოლუციაში გადაიზარდა. სკოროპადსკი დაამხეს, მაგრამ უკრაინისათვის ამას ფატალური შედეგები მოჰყვა. დაიწყო კონფლიქტი „რუსულენოვან უკრაინასა“ და უკრაინულენოვან მოქალაქეებს შორის. შედეგად უკრაინამ დამოუკიდებლობა დაკარგა. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი რუსეთმა დაიპყრო, ნაწილი პოლონეთმა, რუმინეთმა და ჩეხოსლოვაკიამ გადაანაწილეს.

– რუსეთი დღეს ამის გამეორებას ცდილობს, – თვლის კარასიოვი.

ბრძოლა უკრაინისათვის გრძელდება და არავინ იცის, როდის ან რა შედეგებით დასრულდება იგი.

ნიკა თევზაძე

გენპროკურორმა მოადგილეები დაინიშნა

ნათია ხურცილავა

მთავარ პროკურატურაში, მას შემდეგ, რაც პირველი პირი შეიცვალა, საკადრო ცვლილებები ქვედა დონესაც შეეხო. ამ შემთხვევაში მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის პოსტი ლაშა ნაცვლიშვილმა დატოვა.

საქართველოს მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ, მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს გადადგომის შესახებ განცხადებით გუშინ მიმართა.

ნაცვლიშვილმა მოგვიანებით განმარტებები პრესისთვის გააკეთა.

– დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ახალი მთავარი პროკურორი დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ „პროკურატურის შესახებ“ კანონი ასეთ შემთხვევებში არ ითვალისწინებს მთავარი პროკურორის მოადგილეთა უფლებამოსილების ავტომატურ შეწყვეტას, საჯარო სამსახურის ეთიკიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ უწყების ახალ ხელმძღვანელს უნდა მიეცეს სრული საკადრო თავისუფლება, რის გამოც მივმართე მას განცხადებით, დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, – აცხადებს ლაშა ნაცვლიშვილი.

უკვე ცნობილია, რომ ლაშა ნაცვლიშვილი ირაკლი შოთაძემ შეცვალა. სწორედ შოთაძე გახდა ფარცხალაძის პირველი მოადგილე.

ამდენად, მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ პირველი საკადრო ცვლილებები უწყებაში უკვე განახორციელა. თუმცა ამ მიმართულებით მოვლენები როგორ გაგრძელდება, უცნობია. თუმცა, როგორც ექსპერტები აცხადებენ, გამორიცხულია, რომ უწყებაში საკადრო ცვლილებები არ მოხდეს, რომ უწყებაში იგივე ადამიანები კვლავ გადაწყვეტილების მიმღებები იყვნენ.

ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის რანგში მუშაობას უკვე შეუდგა. ამ პოსტზე დანიშვნამდე, ირაკლი შოთაძეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა.

შოთაძე მუშაობდა საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, 2012-2013 წლებში ხელმძღვანელობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს. 2006-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

მაია მწარიაშვილი მიხეილ შაყულაშვილმა შეცვალა. თბილისის პროკურორად მიხეილ შაყულაშვილი უკვე დაინიშნა.

მიხეილ შაყულაშვილი პროკურატურის ორგანოებში 2001 წლიდან მუშაობს. ამ პოსტზე დანიშვნამდე მას გორის რაიონული პროკურორის თანამდებობა ეკავა.

2009-2012 წლებში ხაშურის რაიონული პროკურორი იყო. 2007-2009 წლებში მცხეთის რაიონული პროკურორის მოადგილედ მუშაობდა, 2006-2007 წლებში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის თანამდებობა ეკავა. 2001 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონულ პროკურატურებში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ატმოსფერული ნალექი; 5. მდინარე სამეგრელოში; 6. მხარის, ოლქის თვითმმართველობის არჩევითი ორგანო გერმანიასა და ავსტრიაში; 9. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 11. იაპონური რესტორანი; 14. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 16. რესტორანი საესტრადო პროგრამით; 18. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში.

თარაზულად: 1. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 4. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 8. თაღლითის, მატყუარას ქართული სახელწოდება; 10. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 13. სუპერმარკეტების მფლობელი ქართული ფირმა; 15. ცისკრის ვარსკვლავის ქართული სახელწოდება; 17. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 19. ქალაქის თავი გერმანიაში; 20. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 21. ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 3. გუჯაბიძე; 4. გინესი; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. აზიმოვი; 17. არქტიკა; 20. ნუჟრი.

თარაზულად: 5. მონბლანი; 6. მაუზერი; 8. ბოდრუმი; 10. კროტინი; 11. ალგეთი; 13. ავენიდა; 16. ყაზახეთი; 18. კრინი; 19. წინდა; 21. ხუცესი; 22. ავლაბარი; 23. კანკანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფიტი; 2. ქორქი; 3. ამირა; 4. ბორტი; 5. ტოლედო; 6. კარამელი; 8. ილუმინაცია; 10. გიბრალტარი; 11. მინიატურა; 14. კვაისა; 15. როგანი; 16. კუპრი.

თარაზულად: 1. ფუნქცია; 4. ბოტანიკა; 7. ტიბრი; 9. ბანგი; 12. ბოჟოლე; 13. ლუვრი; 14. კათეტი; 17. ფაუსტი; 18. ემანსიპაცია; 19. სარქალი; 20. ლიკუდი.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6751	ევრო — 2,2657
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7055	100 რუსული რუბლი — 5,1161

ამინდის პროგნოზი 23 ნოემბრისთვის

დაპირისპირება სპორტში დედამიშვილებს შორის

„ბალტიმორ რეივენსის“ მთავარი მწვრთნელი ჯონ ჰარბო და მისი ძმა ჯიმი, „სან-ფრანცისკო 49-ერის“ მთავარი მწვრთნელი, გახდნენ პირველი ძმები „სუპერ ბოულის“ ისტორიაში, რომლებიც ერთმანეთს მინდორზე დაუპირისპირდებიან მწვრთნელთა რანგში.

მათ გარდა სპორტის ისტორიას რამდენიმე გამორჩეული დედამიშვილური დაპირისპირება ახსოვს.

ვენუს და სერენა ულიამსები (ჩოგბურთი)

ორივე მათგანი დიდებული მოთამაშეა და თავიანთი კარიერით გულშემატკივარს თავი დაამახსოვრეს, სერენა ერთეულთა თანრიგში 17 დიდი სლემის მფლობელია, ვენუსი – 7.

წყვილმა ერთმანეთში 8 დიდი სლემის ფინალი გაითამაშა, მათ შორის 4 ზედიზედ 2001 და 2002 წლებში. სერენამ 6-ში მოიპოვა

გამარჯვება, ვენუსმა კი, შესაბამისად, 2-ში. სერენა ბოლო ჩოგბურთელია, ვინც ზედიზედ მოახერხა 4-ვე სლემის მოგება.

როცა საქმე წყვილთა თანრიგს ეხება, ისინი თითქმის დაუმარცხებლები არიან, მათ აქტივში 13 დიდი სლემის ტიტული და 3 ოლიმპიური ოქროს მედალია.

ფილ და სტივ მეირი (ალპური სათხილამურო სპორტი)

ფილი 4 წუთით ადრე დაიბადა, ვიდრე სტივი. ისინი ტრასაზე მუდამ ერთმანეთის გარემოცვაში იყვნენ.

1984 წლის სარაევოს ზამთრის ოლიმპიადაზე ოქროს მედლისთვის იბრძოდნენ სლალომში, პირველ 2 რაუნდში სტივი ლიდერობდა, ფილი კი მესამეზე იყო. საბოლოოდ მათი სვლა ისე გაგრძელდა, რომ ფილმა 0.21 წამით დაასწრო ძმას და ოქროს მედლის მფლობელი გახდა, სტივის კი ვერცხლის მედალი დარჩა.

ელისტეარ და ჯონათან ბრაუნლი (ტრიატლონი)

გასულ წლამდე ძმები ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ინგლისის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ბრაზილიისთვის გუნდებს 6 დეკემბერს დააჯგუფებენ

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული 32-ვე ნაკრების ვინაობა გაირკვა, ისღა დაგვრჩენია, ამ გუნდების წილისყრას დველოდოთ. თუ როგორ გადანაწილდებიან გუნდები ბრაზილიაში ჩასატარებელ მუნდიალზე 8 ჯგუფში, ეს 6 დეკემბერს გაირკვევა.

მანამდე კი ფიფამ კენჭისყრისთვის მონაწილენი 4 კალათაში გაანაწილა. ნაკრებები რეიტინგითა და ტერიტორიული პრინციპით არიან დახარისხებულნი.

პირველი კალათა: ბრაზილია, ესპანეთი, გერმანია, არგენტინა, კოლუმბია, ბელგია, ურუგვაი, შვეიცარია;

მეორე კალათა: ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, პორტუგალია, საბერძნეთი, ბოსნია, ხორვატია, რუსეთი;

მესამე კალათა: საფრანგეთი, ჩილე, ეკვადორი, კოტ დივუარი, განა, ალჟირი, ნიგერია, კამერუნი;

მეოთხე კალათა: იაპონია, ირანი, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, აშშ, მექსიკა, კოსტა რიკა, ჰონდურასი.

კალათებში გადანაწილება იმის მაჩვენებელია, რომ ერთ კალათაში მყოფი გუნდები ერთმანეთის ქვეჯგუფებში ვერ მოხვდებიან.

საბოლოოდ, მიმდინარე მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი საინტერესო და ამოუცნობიც კი იქნება.

კარზაი მხცოვან ავღანელებს მხარდაჭერას სთხოვს

ავღანეთის პრეზიდენტი ამერიკასთან უსაფრთხოების ხელშეკრულების მხარდაჭერისთვის ქვეყნის მხცოვან ავტორიტეტებს მიმართავს.

ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი ქვეყნის მხცოვან ავტორიტეტებს მოუწოდებს შეიკრიბონ და მხარი დაუჭირონ უსაფრთხოების ხელშეკრულებას შეერთებულ შტატებთან. შეთანხმება 2014 წელს დაგეგმილი ნატოს ჯარების გაყვანის შემდეგ, 10-დან 15 ათასამდე უცხოელ ჯარისკაცს ქვეყანაში დარჩენის საშუალებას მისცემს.

ორ ქვეყანას შორის შეთანხმებული უსაფრთხოების ხელშეკრულების პროექტის საბოლოო ვარიანტი ავღანეთის მთავრობამ განსახილველად ინტერნეტზე გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ შეერთებული შტატების ჯარისკაცებს ავღანურ სახლებში შესვლის უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეძლევათ. შეთანხმების ამ პუნქტზე საუბარი თითქმის ერთი წელია გრძელდება.

ავღანელ მხცოვან ავტორიტეტთა შეკრება, სახელწოდებით „ლოია ჯირგა“ ხელშეკრულებაზე 3 დღის განმავლობაში იმსჯელებს. იქ გამართული დებატები დიდ გავლენას მოახდენს ვაშინგტონს და ქაბულს შორის სამომავლო ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე. ჯგუფის მიერ პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში ის დასამტკიცებლად ავღანეთის პარლამენტს გადაეგზავნება.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს ამერიკამ და ავღანეთმა მნიშვნელოვან უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების პროექტზე მოახერხეს შეთანხმება, რაც 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენას განსაზღვრავს.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო კოალიციის ჯარები ავღანეთს 2014 წლის ბოლოს ტოვებენ.

შეთანხმების პროექტში სხვა საკითხებთან ერთად ამერიკელი სამხედროების მიერ კონტრტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობაზეც არის საუბარი. როგორც ცნობილია ამ შეთანხმების დადების გარეშე ვაშინგტონი ავღანეთიდან 2014 წლის ბოლოს ჯარებს მთლიანად გაიყვანს და ავღანეთის ძალებს „თალიბანის“ წინააღმდეგ მოქმედება მათი დახმარების გარეშე მოიწევს.

მიღწეული შეთანხმება ძალაში 2015 წლის 1 იანვრიდან შევა და 2024 წლის ბოლომდე იმოქმედებს. ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, ჯერ საბოლოოდ არ არის განსაზღვრული 2014 წლის შემდეგ ავღანეთში დარჩენილი ამერიკელი სამხედროების რაოდენობა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკამ ავღანეთში ჯარები, 2001 წლის 11 სექტემბრის ამერიკაზე „ალ ქაიდას“ მიერ განხორციელებული თავდასხმების შემდეგ შეიყვანა.

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. მცირე ამპლიტუდის რხევები; 2. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი; 3. საცხოვრებელი სათავსო სახლის სხვენზე; 4. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 7. კათოლიკური ჯვარი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 14. სოციოლოგიური კვლევების ამერიკული ცენტრი; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. რაიონი ნიუ იორკში; 20. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი.

თარაზულად: 5. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 6. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 8. ბეისბოლის მოთამაშის ერთ-ერთი ამპლუა; 10. ღია ლურჯი ფერი, ცის ეპითეტი; 11. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აღნუსხავდნენ მემატიანეები, ჟამთააღმწერლები; 16. ვაზის ხეივანი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 19. კუთხე საქართველოში; 21. მაკედონიის დედაქალაქი; 22. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 23. ასპირინის გამომგონებელი გერმანელი ქიმიკოსი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა



უსამა ბინ ლადენის ექიმი მკვლელობაში ბრალდებულად ცნეს

პაკისტანის პოლიციამ ექიმ შაკილ აფრიდის მკვლელობაში წაუყენა ბრალი, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს 2011 წელს უსამა ბინ ლადენის დაჭერაში დაეხმარა, იუწყება „ბი-ბი-სი“.

ბრალდება 8 წლის წინ, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით პაციენტის სიკვდილთან არის დაკავშირებული.

2011 წელს შაკილ აფრიდი სახელმწიფო ღალატში ბრალდებულად აღიარეს. ტომის სასამართლომ ის გაასამართლა ვაქცინაციის ფიქტიური პროგრამის ორგანიზებისთვის, რომლის ძირითადი მიზანი, როგორც სასამართლომ ჩათვალა, გენეტიკური მონაცემების უკანონო შეკრება იყო, რომელთა დახმარებითაც უსამა ბინ ლადენი იპოვეს.

2012 წლის მაისში აფრიდის თავისუფლების 33 წლით აღკვეთა მიესაჯა, მას შემდეგ ის ფეშავარას ცენტრალურ ციხეში იჯდა. თუმცა, მიმდინარე წლის აგვისტოში პაკისტანის ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებმა მას სასჯელი გაუუქმეს და საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყეს.

ნიუსპრესი

აშშ-ში ჯონ კენედის იხსენებენ

აშშ-ს მთელს ტერიტორიაზე პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით დროშებს დაუშვებენ.

აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელებს ახლანდელ თაობას, რომელიც თანამედროვეობის პრობლემებს ეჯახება, უნდა ახსოვდეს პრეზიდენტ კენედის მემკვიდრეობის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ ჯონ ფიცჯერალდ კენედი 1963 წლის 22 ნოემბერს დალასში მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებულად ლი ხარვი ოსვალდი დაასახელეს.

ჯონ „ჯეკ“ კენედი აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი იყო. პოლიტიკაში ღვაწლმოსილი ირლანდიურ-ამერიკული კენედების ოჯახის წევრი, საყოველთაოდ ამერიკული ლიბერალიზმის ხატად არის შერაცხული.

ასტროპროგნოზი

ყველამ გითხრეს!

23 ნოემბერი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – კარგ ხასიათზე ხართ, ყველაფერი გამოგივათ. **ჯერო** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **ტყუპები** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, კარგად გააანალიზეთ ნათქვამი. **ლომი** – ახალი პროექტით მოიხიბლებით. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ღრიანცელი** – ყურადღების ცენტრში ხართ, გაფასებენ. **მშვილდოსანი** – არ დაივიწყოთ წარსული, მაგრამ არც გეგმების დასახვა გაწყენთ. **თხის რქა** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – კარგი დღეა სწავლისა და ინფორმაციის მიღებისთვის. **თევზები** – ამ დღეს ხალისიანად გაატარებთ, თავს ბედნიერად იგრძნობთ.

24 ნოემბერი – ნახმატებული დღეა

ვერძი – საინტერესო დღეა, თქვენც ბრწყინვალე ფორმაში ხართ. **ჯერო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – მშვენიერი დღეა, საწადელს მიაღწევთ. **ქალწული** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია არ გაფლანგოთ. **სასწორი** – ახალი პროექტი გაამართლებს. **ღრიანცელი** – საღამოს კარგ ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – წარსულს ნუ დაივიწყებთ, მაგრამ ახლა მომავალზე ფიქრი აუცილებელია. **თხის რქა** – თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ სითბო გამოიჩინეთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, ყველა საქმეს აკეთებთ. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!